645
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1980 წ.

ISSN 0321-1509



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1980 წლის 23 ივნისის დადგენილება

# სკკპ მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ

1. მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVI ყრილობა 1981 წლის 23 თებერვალს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

2) სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. თ. სიზოვი.

3) სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლების ძირითადი მიმართულებანი — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.

4) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

3. დამტკიცდეს სკკპ XXVI ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი 3350 პარტიის წევრისაგან.

4) სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით ირჩევენ საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე. სკკპ XXVI ყრილობაზე უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიებისაგან წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ შესაბამის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზღვარგარეთ მყოფი ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი საჯარისო შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე.

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1980 წლის ივლისის დადგენილება

# საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობა 1981 წლის 22 იანვარს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

2) საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში. მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. ხაზარაძე.

3) არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიისა;

ბ) სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატებისა.

3) დაწესდეს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი 250 პარტიის წევრისაგან.

4. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით ირჩევენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს შესაბამის ტერიტორიულ-პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ირჩევენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო-პარტიულ კონფერენციებზე.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

## ნომერი ეძღვნება ზემო სვანეთს

„...მთავარი, რაც გვჭირდება მეცხოველეობის აღმავლობისათვის, არის საკვები, საკვები და ერთხელ კიდევ საკვები...

...მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ ყველა სახეობის საკვების, თივის, სენაჟის, სილოსის, ბალახის ფხვნილის, ძირხვენების წარმოება...

...უხეში და წვნიანი საკვების წარმოების ზრდის მთავარი გზაა მოსავლიანობის გადიდება"...

ლ. ი. ბრეჟნევი



*საუბარი რაიკომის მდივნის კაბინეტში*

# ზემო სვანეთში

— ჩვენთან შვიდი-რვა თვე ზამთარია, — ამ სიტყვებით დაიწყო თავისი საუბარი "საქართველოს ქალის" კორესპონდენტთან პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა სოსო კარტოზიამ. გულისტკივილით ილაპარაკა წლევანდელი ამინდის არახელსაყრელ პირობებზე, იმაზე, რომ გრძელი, გაჭიანურებული ზამთრის შემდეგ გაზაფხულიც წვიმიანი დადგა.

საერთოდ, ზემო სვანეთში ამინდი მუდამ ჭირვეულია ხოლმე და დიდთოვლიანობა ჩვეულებრივ ოქტომბრიდან მაის-ივნისამდე გრძელდება. მაგრამ თოვლი რომ თოვლია, როცა ხვავრიელად უნდა მოსულიყო, სწორედ მაშინ არ მოვიდა. გაზაფხულმა კი გული წაიღო გადაუღებელი წვიმებით. სითბო და დარი სანატრისი გახდა. ივლისის შუა რიცხვებში უშგულის მთებში თოვლი იდო და სათიბ-საძოვრებით ამ მდიდარ, ძირითად მასივში, ამინდის მომლოდინე უშგულელები ვერაფერს აკეთებდნენ. სვანი კაცი გამოდარებასა და ცის გახსნას სახოებით მოელის, რადგან ცოტა დრო რჩება იმისათვის, რომ პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზე გარეკოს, მოსახნავი მოხნას, დასათესი დათესოს, ბალახი მოთიბოს, თივა ზვინებად შეკრას, ქვემოთ, ბარში ჩამოზიდოს და საიმედოდ დააბინაოს კიდეც. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ მეორე კვარტალში შემოსაზიდი მინერალური სასუქები — ათას ასი ტონა, დროულად ვერ შემოიზიდა რაიონში (შემოიტანეს მხოლოდ ას ოთხმოცდაჩვიდმეტი ტონა). ამხანაგები „საქსოფქიმიის" ზუგდიდის საწარმოო გაერთიანებიდან (უფროსი ოთარ ჭანია), ვისაც ეს საქმე ევალება, გულარხეინად არიან. სასუქები შემოზიდეს გვიან და ახლა მათი შეტანა ნიადაგში ყოვლად შეუძლებელია. შეიტან და ბალახს დაწვავ! თანაც დაუფქვავი სასუქი მოვიდა, აქ დაფქვის საშუალება კი არაა. არადა ხუთასორმოცდაათი ჰექტარი მიწა მოსახნავია და გასანოყიერებელი (ითესება ლობიო, კარტოფილი, ქერი, ჭარხალი).

ზემო სვანეთში, ძირითადად, ბუნებრივი საძოვრებია, მაგრამ მათაც გაკულტურება ესაჭიროება — ორიათას ჰექტარამდე მრავალწლიანი ბალახებია დასათესი. ყველაზე კარგ მოსავალს იონჯა იძლევა. წივანასაც არა უშავს. ორ ტონამდე თესლი კმარა იმისათვის, რომ საზოგადოებრივი სექტორიცა და მოსახლეობაც დაკმაყოფილდეს.

შემოსაკავებელია ფართობები. ბოძები და მავთულბადე კი ძნელი საშოვნელია.

იქნებ ზოგიერთი ფიქრობს: რაკი სვანეთში შვიდი-რვა თვე ზამთარია, მიწა მოსარწყავი რატომ იქნებაო. თქვენ წარმოიდგინეთ, ნიადაგის მორწყვა აქ ისევე საჭიროა, როგორც სხვაგან. თუ გნებავთ, ურწყავ ადგილებში. ზაფხულში სიცხე რომ დააჭერს, ბალახი მაშინვე ხმება და მისი გამობრუნება აღარავის შეუძლია. ამიტომ ოდითგანვე რწყავდა სვანი კაცი თავის მიწას, ჭრიდა არხს და აწყობდა გლეხური ტიპის სარწყავ სისტემას. დღევანდელ ზემო სვანეთში, უფრო სწორად, მის რამდენიმე მეურნეობაში, გადაჭრილია ეს საკითხი და, მორწყული მიწა ორმაგ და სამმაგ მოსავალს იძლევა.

...რაიკომის პირველი მდივანი განსაკუთრებული გულისყურით ლაპარაკობს პირუტყვის საკვებზე, იმაზე, რომ „მთავარი, რაც გვჭირდება მეცხოველეობის აღმავლობისათვის, არის საკვები, საკვები და ერთხელ კიდევ საკვები". ლ. ი. ბრეჟნევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იალა-ღებზე

ნარკვევი

სადღაც, უკან, მთებს მოეფარა ივლისის მზეში აბრჭყვიალებული უშბა. თეთნულდმაც თავი ნისლებში ჩამალა. ცხელა და ჩაღმართ-აღმართებზე სიარული ჭირს. მაღლა, ცის სივრცეში თეთრად ქათქათებს თოვლიანი მწვერვალები და მთების ფერდობებზე ვეება ოთხკუთხა ქილებივით განლაგებულან ბევრის მომსწრე სვანური კოშკები.

ჭილობებისმაგვარ სათიბებსა და საბოსტნეებში, ორად გატოტილი გზის გასაყართან უეცრად გამოჩნდა მულახი — ზემო სვანეთის ეს მშვენიერი სოფელი.

მულახში ახლა ნამდვილი ზაფხულია. მზე აქაც მზეა, ცხელი, ღველფიანი. თუმცა აქაური ზაფხული, ბარის ზაფხულთან შედარებით, საგრძნობლად გრილია. ჰაერი გამჭვირვალეა და მსუბუქი.

მკაცრი და დაუსრულებელი, რვათვიანი ზამთრის შემდეგ, მომქანცველ შრომაში ებმება სვანი კაცი. გვერდში უდგას ქალი — მეოჯახე, ხარ-ძროხის მომვლელი, მებოსტნე, მეფუტკრე. ყველის ამომყვანი და მწველავი. ერთი დღის გასაკეთებელს ერთ საათს ანდომებენ. თორმეტი თვის სარჩოს ოთხ-ხუთ თვეში იმარაგებენ. პირუტყვი საძოვრებზე გაჰყავთ, ხნავენ, თესავენ, თიბავენ.

სათიბ-სამკალი ადგილები გარშემო კარგად შემოუღობავთ, მოუხნავთ, დაუთესავთ, ნიადაგში თავის დროზე შეუტანიათ სასუქები. ამიტომაც მაწიერი ბალახი, რომ იტყვიან, წყაროსთვალივით ნამოსულა. გლეხკაცისათვის ყოველი ნუთი საშურია. აბა, რა ქნას, როცა სოფელში მთელი შვიდი-რვა თვე გადაბმული ზამთარია, გზები იკვრება და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმები საკუთარი საკვების იმედზელა რჩებიან. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი რვა თვის განმავლობაში; სულ მცი-

ღია ფანჯარაში გათიბული ბალახის თავისებური, მსუყე სურნელი შემოდის. ეს აგერ, რაიკომთან ახლოს, შემოღობილ ფართობზე, დაბდერის მინდორი რომ ჰქვია, მთიბველები გამოსულან და ბალახს თიბავენ. თიბავენ ხელით, სვანური ცელებით. აქ მექანიზაცია უძლურია. მოხნულ-მოთესილ დაბდერის მინდორზე პირველად მოვიდა ასე ბარაქიანი მოსავალი. ცოტა ქვემოთ, თორმეტ ჰექტარზე, კიდევაა მოხნულ-მოთესილი ფართობი, რომელსაც ლაროლის მინდორს ეძახიან. დაბდერისა და ლაროლის მინდვრები ორჯერ გაითიბა (ჰექტარზე ათ ტონამდე თივა მოთიბეს). ეს ცოტა როდია! ანალოგიურ ბუნებრივ ფართობზე ერთნახევარ ტონაზე მეტი თივა თავის დღეში არ მოუთიბავთ.

თივის აღების საქმეში, რა თქმა უნდა, მთავარია, სენაჟსაჭრელების, სათიბი მანქანების, ტრაქტორებისა და ავტომანქანების გამოყენება. მაგრამ თივას, განსაკუთრებით მაღლობი და დამრეცი ადგილებიდან, ხარებითაც ეზიდებიან, მარხილს, ულელსა და სხვა სამუშაო იარაღებსაც იყენებენ. ზოგიერთ ადგილებზე მთიბველები ბაწრით დაებმებიან ხოლმე და ასე სტაცებენ ბუნებას ხარ-ძროხისათვის აუცილებელ ულუფას. თოვლსა და ყინვაში თუ მონათიბი ზემოთ დარჩა, თივის ზვინს ზურგზეც წამოიკიდებენ და თივიანად თავქვე დაცურდებიან.

სვანი კაცის შრომის შესაიოლებლად, აუცილებელია საბაგირო გზები... აუცილებელია და ჰაერივით საჭირო! გრაფიკით წლეულს უნდა მომთავრდეს ათას ექვსასმეტრიანი საბაგირო გზა სოფელ იფარში.

საზაფხულო საძოვრებზე, მთაში, ახლაც კარვებია. საკმარისი არაა თბილი ბინები. მომსახურე პერსონალს უჭირს ასე მუშაობა. ცოტაა საჭაპანო ტრანსპორტიც (ცხენი, სახედარი). ფერმებში საუკეთესო ყველი ამოჰყავთ და ეს ყველი ერთ კვირაში მაინც უნდა ჩააბარონ დამამზადებელ ორგანიზაციებს. ხშირად მთიდან ჩამომტანი არავინაა, ამასთან, მწყემსებს არ ამარაგებენ საწვიმარი ლაბადებით, რეზინის ჩექმებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფერმებში მხოლოდ დარწყულება და ნაკელის გატანაა მექანიზებული. ყველა სხვა სამუშაო ხელით სრულდება. ფერმების რეკონსტრუქცია ჭიანურდება და სამშენებლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან ამ საქმეს.

ფერმებმა გაგვახსენა კადრების საკითხი... უმაღლესი განათლების მქონე ზოოვეტსპეციალისტები აკლია ფერმებს... აკლია კი არა, სულაც არა ჰყავთ. შვიდი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობიდან მხოლოდ ერთშია ვეტექიმი. ამის გამო პირუტყვის დაცემა ხშირია. შეიმჩნევა ღორის ჭირიც. ეს მაშინ, როცა სანიმუშოდ მოწყობილი ვეტუბნებია გახსნილი კალაში, ლახამულაში, ხაიშში. გამოდის, რომ ვეტუბნები გვაქვს და სპეციალისტები არა გვყავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოცე პლენუმზე რაიონის მეცხოველეებს საპატიო ამოცანა დაუსახეს გადასაჭრელად: ოცდაოთხი ათასი ტონა თივა დაამზადონ წელს... მექანიზაციისა და ბარის ფართობების გამოუყენებლად ამის განხორციელება შეუძლებელი იქნება. არადა, რომ იტყვიან, თავზე საყრელადაა საჭირო თივა პირუტყვისათვის. მარტო საზოგადოებრივ სექტორში რვა ათასი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია. მათ შორის ათას რვაას ორმოცი ძროხაა (ჯოგში ძროხის რაოდენობა სამიათასამდე გაიზრდება).

მეცხოველეობის აღმავლობისათვის საკვები ბაზა ხომ მთავარია და მთავარი! პირუტყვის სულადობის ზრდაცა და ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესებაც, საერთოდ ჯიშთსანაშენე საქმეც, არანაკლები მნიშვნელობისაა. რა კეთდება ამ მხრივ რაიონში? რაიკომის მდივანს ამაზე თავისი შეხედულება გააჩნია...

შარშან რაიონში ორასი სული კარპატული ჯიშის წაბლა დეკეულები შემოიყვანეს. მთაში, საზაფხულო საძოვრებზე, როგორც კი გარეკეს ეს დეკეულები, მაშინვე დაჯანდაკდნენ, დავარდნენ — მთა ვერ აიტანეს, ფილტვების ანთებით დაავადდნენ. მათთვის მისწრებაა მხოლოდ ბაგური კვება. ამის საშუალება აქ არაა — მთლიანად ბაგური კვება ცხადია, წამგებიანია, შეუძლებელია. ახლა დეკეულები სახორცედ უნდა ჩააბარონ.

სხვა სურათია მულახის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი საქართველოს კომპარტიის 23-ე და 25-ე ყრილობების დელეგატი მიხეილ ქალდანი). ეს მეურნეობა შვიდი წელია სოციალისტურ შეჯიბრებაში მუდამ გამარჯვებული გამოდის და რაიონში პირველ ადგილზეა. და, აი, სწორედ აქ, ყაბარდო-ბალყარეთიდან შემოიყვანეს საუცხოო დეკეულები და უშობლები. პირუტყვი, ეტყობა, შეგუებულია ამ ჰავას (ყაბარდო-ბალყარეთი ხომ მესტიას ესაზღვრება). ივარგეს ყაბარდოულმა დეკეულებმა და უშობლებმა. თავი ისახელეს: იზრდებიან ძალიან დიდი, კარგი მეწველი ჯიშისანი არიან. ძროხა ხუთასამდე კილოგრამს იწონის, ხარი — რვაასამდე. მოსახლეობამ პირადი სარგებლობისთვისაც ამ ჯიშის ხარები გაიჩინა.

კარგია სვანური მთის ჯიშის ძროხა — წინაპრებმა რომ მოაშენეს ადრეულ წლებში, მეხორცულიცაა და რძის მომცემიც.

ცალკეა აღსანიშნავი ეგრეთწოდებული „ჰალოვეის“ ჯიშიანი ბუღა-მწარმოებლები (ბეჩოს საბჭოთა მეურნეობაში ჰყავთ). ეს ჯიში გამოყვანილია შოტლანდიის სამხრეთ დასავლეთის მკაცრ კლიმატურ პირობებში და კარგად ეგუება საძოვრული შენახვის მთელ პერიოდს. თანაც მშვენივრად იტანს ზაფხულის ცხელსა და ზამთრის ცივ ამინდს. ფართო და ჩამდგარი ტანისაა, უმთავრესად შავი ფერისა, მეხორცულია. შემოსილია გრძელი და ხშირი ბეწვით. ბუღამწარმოებლების შეჯვარება ხდება ადგილობრივი მთის ჯიშის ფურებთან.

ასე შრომობენ და იღვწიან სვანები. ასეთია მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები ზემო სვანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აიშათ მარგიანი და ნესტან იოსელიანი

რე, ორი ტონა უხეში საკვებით მაინც უნდა მომარაგდეს, მეწველ ფურზე კი დღეში დამატებით ოთხი კილოგრამი კომბინირებული საკვებია საჭირო.

წკრიალებს, ლაპლაპებს ელვარე, მამაპაპური ცელები და სოფელში გახურებული თიბვაა. ითიბება რძიანი და შემრგე, მინის სინოყივრით გამაძღარი ბალახი. ნათეს თუ უთეს ფართობებზე მდელო თიმთიმებს. სიმწიფე მოათავა სვანური ხარძროხის გამორჩეულმა საკვებმა — იონჯამ და წივანამ.

თავისებური სურნელი აქვს ახალწათიბ ბალახს: ნაცნობი, მსუყე, მწკლარტეც, ოდნავ მოტკბოც. მწვანე, ნედლი წვენი რძით გატიკნულ კლერტებზე ნესტივით ჩამოიჟონება და ნესტოებში რჩება რალაცნაირი ნებოვანი სისველე და გემო.

ეს მაშინ, როცა ბალახი ნედლია.

გამხმარი ბალახი სხვაა. თივამ სხვანაირი სუნი იცის: სიცხით გახურებული ხორბლის მსგავსი, მათრობელა და სასიამო. კარგად გამომშრალი თივა ფიცხია.

ასეთ დროს ყველა ფერმა ცარიელდება მულახში. სოფლიდან ჯოგს კიდევ უფრო ზემოთ, ალპურ საძოვრებზე მიერეკებიან.

აიშათ მარგიანი, შავგვრემანი, მზეში ოდნავ გარუჯული მწველავი ქალი, თვალიდან არ იშორებს თავის ცამეტ ძროხას. მიდის ჯოგი და მიჰყვება აიშათი. პირქარი ზურგზე უფრიალებს შავი თავსაფრის ბოლოებს. თვალით ეფერება თავის ფურებს და იმდენი გამოუთქმელი სიყვარული, იმედი და სითბოა იმ თვალებში, ადამიანი დაიბნევი კიდეც.

აგერ შვიდი წელია ასე გუნებიერად, ჩუმად და თავაულებლად მუშაობს ფერმაში აიშათ მარგიანი — რვა შვილის დედა. ერთი ქალიშვილი, ციცოს რომ ეძახიან, როგორც კი საშუალო სკოლა დაამთავრა, მშობლის კვალზე წავიდა: მწველავი გახდა და მხარში ამოუდგა დედას.

ციფრების ენა, კაცმა რომ თქვას, ცოტა მოსაწყენი კია, მაგრამ ზოგჯერ გვერდის ავლაც არა ხერხდება. ხშირად, ერთი „მშრალი“ მაგალითი მეტს ამბობს, ვიდრე მთელი ნარკვევი.

ჰოდა, რაკი ეს ასეა, მოდით, ცოტა ხანს მაინც წავისაუბროთ. ამ „მშრალი“ ენით.

აიშათ მარგიანმა მარტო შარშან თითო ფურიდან 1682 ლიტრი რძე ჩამოწველა, გეგმით 1015 ლიტრი უნდა ჩამოეწველა. აბა, დააკვირდით, რამხელა სხვაობაა ამ ორ ციფრს შორის: მთელი 667 ლიტრი! ეს კი სვანეთის პირობებში რეკორდულია, დღემდე არცერთ აქაურ მწველავს არ მიუღწევია ასეთი მაჩვენებლისათვის.

ნამატიც ვნახოთ: ცამეტი ძროხიდან ათი ხბო უნდა გამოეზარდა. ფაქტიურად მიიღო 15 ხბო და თხუთმეტივე შეინარჩუნა.

წლევანდელი წლის ექვსი თვე კიდევ უფრო ხვავრიელი გამოდგა აიშათისათვის: ყოველ ფურზე 1230 ლიტრი რძე ჩამოწველა, — შარშანდელი წლის ამავე დროსთან შედარებით 220 ლიტრით მეტი. ამ დალოცვილმა ქალმა ასე ჩამოიტოვა უკან თავისივე სარეკორდო მაჩვენებელი.

ნეტა აიშათის სათუთი ხელით ამოყვანილი ყველი გაგასინჯათ! ვერაფერს იგემებს კაციშვილი ამაზე უკეთესს. რა მსუყეა და გემრიელი, რა თოვლივით თეთრი, რბილი და ქათქათა, ისეთი ფაფუკი და სუფთაა, კბილის დაკაწრება დაგენანება.

იქნებ, მკითხველი დააინტერესოს იმ „საიდუმლოების“ გამხელამ, რომლითაც სვანური წესით ყველი ამოჰყავს აიშათს. ამჯერად ეს მოუხერხებელია და სჯობს სხვა დროისათვის გადავდოთ.

პირუტყვის მოვლაში ტოლი არა ჰყავს აიშათს. ახალგაზრდა მწველავ-მომვლელებისგანაც ამას მოითხოვს. იციან ეს მისმა აღზრდილებმა, იციან და მჰსწავლებლის კვალს მიჰყვებიან. აიშათიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას უხვად უზიარებს ახალგაზრდებს, არიგებს, ასწავლის. მთელი სოფელი პატივს სცემს შრომისმოყვარე ქალიშვილებს. მათი სახელები ყველას პირზე აკერია. ზოგიერთი მათგანი სკოლაში სწავლობს და თანაც მუშაობს. ზოგიერთმა საშუალო სკოლა დაამთავრა და ფერმაში მოვიდა. აი, ისინიც: ნაზი იოსელიანი, ნელი მარგიანი, მზია გვიდანი, ლოლა ნავერიანი, საფი იოსელიანი და კიდევ ბევრი სხვა.

ნესტან იოსელიანი კი, ეს ქერა, სანდო-

მიანი სახის ქალიშვილი, პირდაპირ თითით საჩვენებელია. სამაგალითო მწველავი პარტიის წევრად მიიღეს, თორმეტი ფური ჩააბარეს, გულისყურიანი გოგონაა ნესტანი. უმამოდ გაიზარდა. სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობს.

უეჭველად ახდება მისი ოცნება: წავა ნესტანი სვანეთიდან, მერე ისევ დაბრუნდება მშობლიურ მულახში და თავისი ცოდნით მხარში ამოუდგება ხალხს.

უხარია აიშათს, ამაყობს აიშათი ასეთი გოგონებით. ოღონდ გული სტკივა, რომ მწველავებს ფერმაში მუშაობა ჯერ კიდევ ხელით უხდებათ.

დიახ, მულახის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმები არ არის მექანიზებული. კარგა ხანია დაიწყეს ორასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტიპის მექანიზებული ფერმის მშენებლობა. მხოლოდ დაიწყეს... 1977 წელს უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ ფერმა ჯერაც გადაუხურავია. წყალიც არ არის შეყვანილი. ერთი სიტყვით, ორი წლის წინათ საექსპლოატაციოდ გადასაცემი ფერმის შენობა ცარიელი კედლებია და მეტი არაფერი. ცხაკაიას №5 სამშენებლო ტრესტი (მმართველი გიგუჩი გაბისონია) დუმს.

აღსანიშნავი ისიც არის, რომ მეცხოველეები არ მარაგდებიან სპეციალური ტანსაცმლით (ნაბადი, საწვიმარი, ხალათი), არც მაღაზიებში იშოვება საჭირო საქონელი. მწყემსებს თხელი ხალათებითა და პალტოებით უხდებათ ქარ-წვიმაში დგომა.

ყველაფერს ხედავს აიშათ მარგიანი. იგი ხომ რაიონული საბჭოს დეპუტატია და ისედაც ევალება საერთო საქმისათვის ზრუნვა და ფიქრი.

შრომა შრომაა. მაგრამ, საინტერესოა, როგორღა ცხოვრობს აიშათი, მისი ოჯახი?

თუ მის ოჯახში სტუმრობას ინებებთ, ჭიშკართან უეჭველად ბაჯუ მარგიანი შემოგხვდებათ, აიშათის ქმარი. ახალ ორსართულიან სახლში შეგიძღვებათ ბაჯუ. ლამაზად მორთულ ოთახებში შეგიყვანთ. შემდეგ, ალბათ ეზოში გაგასეირნებთ, საგულდაგულოდაა მოვლილი ის ნახევარი ჰექტარი ნაკვეთი. უთესიათ კარტოფილი, სიმინდი, ლობიო, ქერი, კიტრი, პამიდორი, კომბოსტო. პირად მეურნეობაში ჰყავთ სამი ძროხა (დღე-ღამეში თითოეული ექვსშვიდ ლიტრას იწველის), ათი ღორი, უამრავი ფრინველი. ამას ზედ დაუმატეთ ოჯახის ფულადი შემოსავალი — ყოველთვიურად ექვსასი მანეთი მაინც, და ყველაფერი ნათელი გახდება.

დიახ, არის ერთი ქალი მულახში, პატიოსანი, შრომაში გაჭაღარავებული, სანთელივით წმინდა და სათნო. იგი უხმაუროდ, გარეშე თვალის შეუმჩნევლად ღვრის ოფლს, უვლის ოჯახს და საერთო საქმეს ემსახურება. მას ყველა პატივისცემით ეპყრობა სვანეთში. სამართლიანია ხალხი. იცის ხალხმა ადამიანის დაფასება...

ვასილ გვეტაძე



## სვანი გოგონას სიმღერა

სვანეთის მთებში გაზრდილი,
გოგო ვარ გიშრის თმიანი,
შემუყვარებია ვაჟკაცი,
ჩვენი მთებივით სვიანი.

შემოდგომაზე მოგიწვევთ,
ნახეთ სვანური ქორწილი,
მნახეთ დედოფლის სამოსში
ბედნიერებით მოსილი.

მნახეთ, როგორი ვიქნები
პატარა დიასახლისი,
თორმეტი ვაჟი მისურვეთ,
როცა ასწიოთ სასმისი!

## მიშგვი დინა მადინა

— მიშგვი დინა მადინა *
ბუჩქის ძირას ზის,
გაზაფხულის ღიმილით,
ცისფერ იებს თვლის...

ელთი, ოლი, ხუთი, ლვა,
ასე იცის თვლა.
— მიშგვი დინა მადინა
მწვერვალებზე სვლა!

---

* ჩემი გოგო მადინა

ლამარა გენდელიანი,
მესტია.

## დილა მთაში

გოლდაშის მთათა კალთებზე
შემომეგება დილა და,
დაბიერი და ნალიში
მესალმებოდნენ ტკბილადა.

ტოროლა ცაში აიჭრა,
მთაში აისი გვახარა,
და ათინათმაც ჩუმჩუმად
თავისი ბადე გაშალა.

მზემ ოქროსფერი ვარმაში
მალე მთებს გადააფარა,
ნიავმაც დილის ჰანგები
ხევიხევ გადაატარა.

ბრილიანტებად ასხმული
ცვარი მდელოზე ციალებს,
ყელყელაობენ ყვავილნი
სათიბში ცელი ტრიალებს.

წყარომ ხტუნვით და ქაქანით
ლოდებზე ჩაირაკრაკა, —
ღმერთო, ეს ქვეყნიერება
აგიწყვიაო რა კარგად!..

## აქ სასიმღეროდ მიხმობენ მთები

სერზე ჯიხვი ხმობს, ხმაურობს წყარო.
მთით მიმაქროლებს თეთრი იაბო,
და ნატერფალი თამარის ქოშის
ლამარიაში შუქად კიაფობს.

აქ სასიმღეროდ მიხმობენ მთები,
მსურს ლაჟვარდების მიჯნასთან დავდგე,
და როგორც ფრთები, ლილეოს ხმები,
მომიწოდებენ მზემდე და ცამდე.

მერი ნიჟარაძე,
მესტია, სოფელი ხაიში.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# შენი ტკივილი ჩვენი ტკივილია

პატარა ავტობუსში ფეხის დასადგმელი ადგილიც არსად იყო. ისიც, ბედს შერიგებული, ხველებ-ხველებით, ბღუილ-ბღუილით ებრძოდა აღმართებს, რაც მესტიისკენ მიმავალ გზაზე საკმარისზე მეტია. მგზავრებს შორის ბევრს სვანეთზე ყურმოკრულად თუ გაეგონა რამე. ისინი გაფართოებული თვალებით უცქერდნენ ბარისაკენ კისრისტეხით მიმქროლავ ენგურს და თავით ცას მიბჯენილ ქათქათა მწვერვალებს. მხოლოდ მრავლისმხილველი სვანები იყვნენ მშვიდად და ერთმანეთში დინჯად მასლაათობდნენ. რაღას არ ჰყვებოდნენ — ლაპარაკობდნენ კარს მომდგარ თიბვაზე, ხუდონის მომავალ ჰიდროელექტროსადგურზე (რომელიც ხაიშთან უნდა აშენდეს და რატომღაც ხუდონის სახელი უწოდეს), ფეხბურთზე, ლატალსა და კალადან ხელმრუდეთა მიერ ერთ დროს გატაცებული ძვირფასი ხატების დაბრუნებაზე და როცა სათქმელს ამოწურავდნენ, ისევ და ისევ ზუგდიდ-მესტიის ახალ გზას უბრუნდებოდნენ, გულით ლოცავდნენ მის მშენებლებს.

ვუსმენდი მათ და უნებურად ზუგდიდში დარჩენილ უიღბლო მგზავრებზე ვფიქრობდი: საავდრო ღრუბლებმა დილიდანვე დაფარა ზეცა, ამიტომ მესტიისაკენ ერთი თვითმფრინავიც არ გამოფრენილა, ამ პატარა ავტობუსმა კი მოზღვავებული მგზავრების მხოლოდ ნახევარი წამოიყვანა.

დიდი ხანია, რაც სვანეთი — საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე შუა საუკუნეების წყვდიადიდან გამოვიდა. წარსულს ჩაბარდა გვართა შორის სისხლიანი ქიშპობა. გზამ, სწორედ გზამ აზიარა ამაყი სვანები თანამედროვე ცხოვრების ყველა სიკეთეს. კულტურულ-საგანმანათლებლო კერებმა, რადიომ, რამდენიმე წლის წინათ აციმციმებულმა „ცისფერმა ეკრანმა“ ყოველ ოჯახში სიხარული და ხალისი შეიტანა. უბრალო, რიგით ადამიანებთან საუბარმა, რაიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრებმა ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა იმ გიგანტურ ნახტომზე, რაც ამ ექვსიოდე ათეულ წელიწადში სვანეთმა ახალი ცხოვრების, ყოფისა და კულტურის დასამკვიდრებლად გააკეთა. შეიცვალნენ ადამიანები, ბევრი რამ გადაფასდა მათ შეგნებაში და თანამედროვე მოთხოვნებს მიესადაგა. მხოლოდ ცადაზიდული მთები და ტანაშოლტილი, საუკუნოვანი ხეები სუნთქავენ პირველყოფილი მედიდურობით, აჯადოებენ სტუმრის გულსა და გონებას.

1974 წლის 13 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო სვანეთის შემდგომი სოციალური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების შესახებ. სამინისტროებსა და უწყებებს ბევრი ობიექტის მშენებლობა დაევალათ, სვანეთზე ბარის ბევრმა რაიონმა იკისრა შეფობა. აქ დიდი მადლიერებით იხსენიებენ ზუგდიდის, ცხაკაიას, გუდაუთის, ქ. ტყიბულისა და სხვა რაიონების მშრომელებს, რომელთა პრაქტიკული დახმარების შედეგად ბევრი სკოლის, საბავშვო ბაღის, მაღაზიის ახალი შენობა შეემატა მაღალმთიან სოფლებს.

დიახ, მართლაც ბევრი რამ გაკეთდა სვანეთის მკვიდრთა საკეთილდღეოდ. ყველგან იგრძნობა რესპუბლიკის მთავრობის გამორჩეული ყურადღება ამ ეგზოტიკური მხარისა და მისი რაინდული სულის მქონე ადამიანებისადმი. მესტიაში ხშირად ჩამოდიან სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ხვდებიან რაიონის აქტივს, მათთან ერთად ბჭობენ მომავალ მშენებლობებზე, პრობლემებზე. მესტიას სწორედ ჩვენი იქ ყოფნისას ეწვივნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ეცადაშვილი და ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. ქირია. სწორედ მას შემდეგ, რაც კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. კობახიძემ სვანეთის სოფლები დაათვალიერა, მოკლე დროში მთლიანად შეცვალეს უბელის, კალის, ადიშის და იფარის მოძველებული სატელეფონო ხაზები, ლენჯერსა და ლატალში კი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურების დამონტაჟებას შეუდგნენ. ბევრი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება სასოფლო მშენებლობის სამინისტროზეც (მინისტრი ი. ხარატიშვილი).

მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და, ის, რაც გუშინ საკმარისი იყო, დღეს აღარ გვაკმაყოფილებს. აბა, როგორ შეიძლება დამშვიდდეს განათლების განყოფილების გამგე ა. ჩხვიმიანი, როცა იცის, რომ თითქმის აღზრდის სკოლამდელი ყველა დაწესებულებისა და სასკოლო ნაგებობათა საქვაბეები უხარისხოდ არის აშენებული, რომ მარტო შარშან მესტიის სკოლა ინტერნატში, სადაც 160 ბავშვი სწავლობს, სიცივის გამო 11-დან 22 ნოემბრამდე გაკვეთილები არ ჩატარებულა, რომ ასეთივე შემთხვევები იყო მესტიის საბავშვო ბაღში, ჰუბერის, ნუყალის, ლენჯერის, ხაიშის, იფარის სკოლებში. რა პასუხს გასცემს ყარ-სგურიშელ, ბარშელ, იფარელ, მურშკელელ და იდლიანელ დედებს, რომლებიც, ნებით თუ უნებლიედ, ოჯახს არიან მიჯაჭვულნი, ვერ მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში, რადგან ამ სოფლებს საბავშვო ბაგა-ბაღები არა აქვს. ბევრგან საბავშვო ბაღები ავარიულ შენობაშია. რაიონის 25 დაწყებითი სკოლიდან 17 დაქირავებულ ბინაშია. ბევრ სკოლას კაპიტალური შეკეთება სჭირდება.

უკეთეს დღეში არც სავაჭრო ქსელია. მართალია, უკანასკნელ ხანს ცხუმარში, ლატალში, ბეჩოში, უშვანარში, ფარში, ჰუბერში, ებუდსა და მულახში ახალი მაღაზიები გაიხსნა, მაგრამ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან დიდი დასახლებები — ელიში, ყარსგურიში, ლახამი და სხვები. მაღაზიათა დიდი ნაწილი შეუფერებელ ბინებშია და მომხმარებელთა ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. უკეთესი მდგომარეობა არც სასადილოებსა აქვს.

ბევრი პრობლემა აწუხებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსაც. სოფლებში ძირითადად ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის სახელოსნოებია გახსნილი. ბევრგან ჯერაც არ არის აბანო და საპარიკმახერო, ქალთა სალონზე ხომ საერთოდ ვერაფერს იტყვის კაცი. ჰუბერში, ლახამულის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიმე ობიექტიც კი არ არის, საგულისხმოა, რომ სამმართველო გეგმებს ძირითადად ტანსაცმლის ინდკერვისა და ლითონკონსტრუქციების შეკეთების ხარჯზე ასრულებს.

გულახდილი საუბარი გვქონდა პარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივანთან ი. კარტოზიასთან. კი, უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, რომ სვანური სოფელი თანამედროვე ცხოვრების სიკეთეს ეზიაროს, მაგრამ დადგენილება, რომელზეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ მოგახსენეთ, გაცილებით მეტის გაკეთებას ითვალისწინებს. ვადები თითქმის ამოიწურა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, სარაიონო კულტურის სახლის, საავადმყოფოს, სავაჭრო ცენტრის, საბაგირო გზების, სათიბებამდე 50 კილომეტრი საერთო სიგრძის გზების მშენებლობას კი დღემდე არ დაადგა საშველი. სრული უმოქმედობა გამოიჩინა რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა სპორტული ბაზებისა და კომპლექსების მოწყობაში. ფერხდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც.

ეგებ ბევრი ნაკლი გამოვიტანეთ სამსჯავროზე, მაგრამ ეს მხოლოდ დიდმა გულისტკივილმა გვიკარნახა. მაღალმთიან სოფლებს უფრო მეტი ყურადღება სჭირდება. პარტიის მესტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ცდას არ აკლებენ, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს, მაგრამ ადგილობრივი სახსრებით ეს თითქმის შეუძლებელია. წერილის შესავალში ყურადღება საგანგებოდ გავამახვილეთ ზუგდიდიდან მესტიაში მგზავრობის სიძნელეებზე. მაგრამ იქ თუ ავტობუსების რეისთა სიმცირეს დავემდურეთ (გზა მართლაც ჩინებულია, მესტიაში ტყუილად კი არ მოუწყეს საუცხოო სტენდი მის მშენებლებს!), რაიონის ბევრ სოფელს სამანქანო გზა საერთოდ არ გააჩნია. წვირმში, კიხულდაში, თოთელეში, ჰამაშში, უშხვანში, მაზერში უგზოობის გამო არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. თვით საქვეყნოდ სახელგანთქმული უშგული ძალზე მტკივნეულად განიცდის უგზოობას. რაიონული ცენტრიდან უშგულამდე 46 კილომეტრია. ამ მანძილის გავლას „ნივა" ან „კოლხოზნიკი" სამ საათზე მეტს ანდომებს. ცხადია, ძნელდება სავაჭრო და სხვა ობიექტების დროული მომარაგება. ჩემთვის ძალზე გასაგებია კალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის გ. ჩეგიანის შეშფოთება, უგზოობის გამო ერთი სოფელი მთლიანად გაუკაცურდა. მესტია-უშგულის გზის სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ ტემპი ვერა და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

...სვანეთი საოცარი კონტრასტების მხარეა. ყოველგვარი გრძნობისაგან დაცლილი უნდა იყოს კაცი, რომ ამ თოვლიანი მწვერვალების, ხმაურიანი ხეობების, აქოჩრილი ტყეების, ამწვანებული ალპური მდელოების პირველყოფილმა სილამაზემ არ მოხიბლოს. კიდევ უფრო ლამაზია მთის კალთებს შეფენილი ზვიადკოშკებიანი სოფლები, რომელთაც მათსავით ამაყი, სტუმართმოყვარე და გამტანი ადამიანები ამშვენებენ. ბუნებამ მკაცრი პირობები არგუნა მათ, მაგრამ სვანს მაინც თავდავიწყებით უყვარს ეს ჭიუხებიც, ფრიალოებიც, თოვლიც და ყინულიც. სვანს ძალიან უჭირს მშობელ კუთხესთან განშორება, ბარად დამკვიდრება. ამიტომ, მოდით, ვისაც რით შეუძლია, ნურაფერს დაიშურებს, რომ აქაც ხალისიანი, სისხლსავსე ცხოვრება დუღდეს, რომ სტუმარს მარტო ბუნების სილამაზე კი არა, ადამიანთა გონებისა და მარჯვენის სწორუპოვრობაც აოცებდეს.

ელგუჯა ლებანიძე

# და დგას „ბეთქილი"...

ოთხი წლის წინათ, ამ ადგილას ქვების მეტი არა იყო რა, ახლა კი ფერი უცვლია. სახე უცვლია მულხურას ნაპირებს...

„ბეთქილი" მესტიელ თუ მესტიაში ჩასული ახალგაზრდების თავშეყრის ადგილია. აქ იმართება პოეზიის საღამოები, სხვადასხვა დისკუსიები, საინტერესო შეხვედრები... ძველი და ახალი სტილის შერწყმით, უზადო ხალხურობით, ჩუქურთმადქცეული ხე-ფიქალისა თუ ქვა-ლოდების ბარელიეფური გამოსახულებით ყველას ხიბლავს ინტერიერი.

ყველას აქეთ მოუწევს გული, ყველას იზიდავს მისი მშვენიერი ხედი.

ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ მერწმუნა იქნებ...

შარშან სწორედ ეს დრო იყო. „ბეთქილი" შენდებოდა, არც დღე იცოდნენ მესტიელმა ახალგაზრდებმა და არც ღამე. რომ ვუცქეროდი, სურვილი მიჩნდებოდა, მეც მივხმარებოდი, მეც რაღაც წვლილი შემეტანა...

ფასადის წინ საქმიანად ფუსფუსებდნენ კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ბორის კახიანი, მესტიის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ემზარ კვანჭიანი, რაიონის არქიტექტორი ნუგზარ ჩხეტიანი, კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ნარგიზა ნიგურიანი, კომკავშირის რაიკომის მე-3 მდივანი გურგენ გურჩიანი, მშენებელი ტარიელ ხერგიანი, გოგი რატიანი, თალიკო ნაკანი, ავრორა ნიგურიანი, ალიოშა რატიანი და სხვები.

ლამაზ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი სვანმა ახალგაზრდებმა, ჯერ კიდევ ადრე არაოფიციალურ შეხვედრაზე, შემდეგ კი კომკავშირულ პლენუმზეც წამოიჭრა საკითხი რაიონში ახალგაზრდული სახლების უსასყიდლო მშენებლობისა.

თავიანთი ძალებით ამგვარი სტილის ახალგაზრდული სახლების აშენება სხვა სოფლებშიაც განიზრახეს, მერე განზრახვა საქმედ აქციეს...

ყველაფერი კი კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის ბორის კახიანის უჩვეულო ენთუზიაზმმა და რაიონის არქიტექტორის ნუგზარ ჩხეტიანის ფაქიზმა ხუროთმოძღვრულმა ჩანაფიქრმა გადაწყვიტა...

* * *

ლატალში შემთხვევით შემხვედრი სატვირთო მანქანით ჩავედით მე და ნარგიზა ნიგურიანი.

სოფელში მისულებს კი ბორისი დაგვხვდა შარა-გზაზე.

უჩვეულო სიცოცხლე დუღდა ლატალის ახალგაზრდულ-სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე.

— ახლა რა არის, — მიყვება ბორისი, — მშენებლობა უკვე მთავრდება. შარშან გაზაფხულზე უნდა გენახათ, ქუდზე კაცი იყო გამოსული. ლატალის გარშემო მდებარე თერთმეტი სოფლის წარმომადგენლები, ახალგაზრდები თუ მოხუცები ყველანი ერთ ძალად, ერთ სულად შედუღაბებულნი გამოცხადდნენ და განა მარტო გამოცხადდნენ?! რომ შეგეხედათ, მიხვდებოდით, მათ ყველაფერი შეეძლოთ. არავითარი სიძნელე არ შეაშინებდათ, ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავდნენ...

— ძირითადი პრობლემა თქვენი მშენებლობისა?..

— სახურავი დაგვრჩა გადასახურავი, მერე ინტერიერის მოწყობა.

— მასალად რას იყენებდით მშენებლობისათვის?

— ადგილობრივ ქვას, ფიქალს, სამშენებლო ბლოკს, ცემენტს...

— ჭერს რით გადახურავთ?

— ალბათ თუნუქით, მაგრამ დროებით, — შიფერით...

— როდისთვის დაამთავრებთ ყველაფერ ამას?

— თუ ვიმარჯვეთ, სექტემბრისათვის გვაქვს გადაწყვეტილი.

— თქვენი უახლოესი სამუშაო გეგმა?..

— სამტრედიის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატიდან დაფანერებული ხის მასალის ჩამოტანა შენობის კარ-ფანჯრისათვის.

* * *

მულახი უძველეს მურყვამებში (კოშკებში) ჩაფლული სოფელია, მდინარე მულხურას სათავის გაყოლება კალთებზე შეფენილი კარტოფილის ნათესებითა თუ ქერის ყანებით, ფერად-ფერადი სათიბებით შეფერადებული.

მაგრამ მულახში მურყვამების სანახავად არ ავსულვართ მეორე დღეს.

იფარის მშენებარე ახალგაზრდულ-სპორტული კომპლექსის სანახავად მიმავლებს გულმა არ გაგვიძლო არ გვენახა ორი წლის წინათ მულახში გახსნილი ილია გაბლიანის სახელობის სპორტული სკოლა.

აქაც ძველი და ახალი სტილის შერწყმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვეწილი ფასადი, ნუგზარის ხელი იგრძნობოდა ყველგან, ყოველ ქვაში...

მულახის სპორტულ კომპლექსს მშვენიერი ტრადიციებით უცხოვრია ამ ორი წლის განმავლობაში. ამ სკოლის აღსაზრდელებს: ოთარ იოსელიანსა და ბესიკ დევდარიანს, ნესტან ქოჩქიანსა და ეთერ ზურებიანს, რეზი შერვაშიძესა და ბადრი ჯაჭვლიანს, რევაზ იოსელიანსა და ელზა ზურებიანს, ზინა ჭკადუას, ავლან ნავერიანსა და სხვებს ბევრჯერ უსახელებიათ თავიანთი რაიონის სახელი კრივსა თუ სათხილამურო რბოლებში, ჭიდაობასა თუ კლდეზე ცოცვაში.

იფარში რომ ავედით, მომეჩვენა, თითქოს და დამუნჯებულიყო მომავალი ახალგაზრდული სახლის კედლები. იქ არავინ ტრიალებდა, შეჩერებული იყო მშენებლობა. გამიკვირდა, იმისთანა ამინდში რომ არ ილვწოდნენ იფარელი კომკავშირელები.

— რასაც ხედავთ, სულ ორ კვირაში ავაშენეთ, — მეუბნება იფარელ კომკავშირელთაგან ერთ-ერთი, — მერე ცემენტი შემოგველია და გავჩერდით.

— ცემენტი რომ იყოს, — დაუმატა მეორემ, — აქამდის დავამთავრებდით კიდეც.

გულმა არ მომისვენა, ყოველი კიდე-მტკაველი მოვიარე, დიდხანს შევცქეროდი ნახევრად მოთავებულ ფასადს, კოპწიად ჩარიგებულ სარკმლებს...

აქაც, ყოველი კუთხე-კუნჭული თუ ქვის ნათალი, უჩვეულო სიმეტრიით განლაგებული კედლები ნუგზარის ლამაზ ჩანაფიქრს ინახავდა.

მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელებას ბევრი რამ აკლდა. თუნდაც ცემენტი, — სამშენებლო მასალას სასწრაფოდ ითხოვდნენ იფარელები.

იმედით დავტოვე ისინი სოფელში:

— თქვენ ისეთი კომკავშირის მდივანი გყავთ, ცემენტს მოგაკლებთ-მეთქი?

„ბეთქილს" სხვა დობილიც ჰყავს. ეცერისაკენ—„შგარიდა", „შგარიდაც" უსასყიდლოდ ააშენეს მესტიელმა კომკავშირელებმა. „შგარიდას" პროექტის ავტორიც ნუგზარია...

ამ ბოლო ხანს მესტიაში აშენდა ახალი კინოთეატრი, ტურბაზა, რესტორანი, სასტუმრო...

დღეები რბიან... ემატება საფიქრალს საფიქრალი. მესტია შენდება, მშვენდება დღითიდღე...

საფიქრალსა და საქმეს რა დაულევს მესტიის მშენებლებს.

სულ მალე სოფელ ფარშიაც დაიწყება ახალგაზრდული სახლის მშენებლობა.

ნუგზარი კი დუმს, ან ეღიმება, როცა რამეს ვეკითხები.

საკუთარ თავზე ლაპარაკი ბევრს არ უყვარს, მაგრამ მისთანა უცნაური არაფერი მინახავს:

„მე რა გავაკეთე, ისეთი არაფერი... — ამბობს ნუგზარი, — პირდაპირ მიწაზე დავხაზე და... მორჩა. პროექტი სხვადასხვა ინსტანციებში დამტკიცებული დოკუმენტის სახით არც არსებობს, პროექტი თითქმის მშენებლობის პარალელურად, კოლექტიუ-



„ბეთქილი"



რად, ბორის კახიანის თანაავტორობით იქმნებოდა.

ნუგზარმა 1974 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი და მესტიაში დაიწყო მუშაობა საპროექტო ბიუროში. ინჟინრად მუშაობდა რამდენიმე ხანს, რადგან რაიონში იმ ხანად არქიტექტორის შტატი არ იყო.

ნუგზარის ძირითადი პრობლემა და საზრუნავი ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, ისტორიულ ნაკრძალად გამოცხადებული ბინების ხელუხლებლად დაცვა და მათი სტილის გათვალისწინებით ახალი საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაა.

ნუგზარ ჩხეტიანი კომკავშირის მესტიის რაიკომის წევრია და აქტიური პროპაგანდისტი..

ლალამისკენ რომ გაივლით, არ შეიძლება არ შენიშნოთ მისი პროექტით აგებული, კოპწია, თანამედროვე სტილის საცხოვრებელი სახლები..

ამას წინათაც, ლალამიდან მომავალმა, მესტიაში სტუმრად ჩამოსულმა რუსმა არქიტექტორმა თავისი აღფრთოვანება ვერ დამალა ამ სახლების ნახვისას, მარჯვენა დაულოცა ახალგაზრდა ხუროთმოძღვარს.

* * *

მიდის და მიიქოჩრება მულხურა...

გაისად მის ნაპირას, ხიდის შორი-ახლოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყება...

მესტიელი ახალგაზრდების უმრავლესობის ჰობი სპორტია. ალბათ, არც არის გასაკვირი, ასე მრავლად რომ შენდება თითქმის ყოველ სოფელში ახალგაზრდულ-სპორტული კომპლექსები. გაისად ჰაწვალის მთაზე სათხილამურო ბაზის მშენებლობა დაიწყება, კარგი იქნება, სპორტკომიტეტი მაშინვე თუ გაითვალისწინებს საბაგირო გზის მშენებლობას ამავე სახელწოდების მთიდან...

წლეულსვე დასრულდება ადგილმრეწველობის კომპლექსი, მწყობრში ჩადგება თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი — ლალამში, პურსაცხობი, ამაცივრო საწყობი, საშუალო სკოლა სოფელ კალაში.

გაისად რაიკომის შენობისა და მის წინ მდებარე ბაღის რეკონსტრუქცია დაიწყება, აშენდება პირველი საშუალო სკოლის ახალი შენობა, საშუალო სკოლა აშენდება აგრეთვე სოფელ უშგულში...

ორი წლის შემდეგ მწყობრში ჩადგება კავშირგაბმულობის სახლი, ხოლო იმავე წელს დაიწყება კულტურის სახლის მშენებლობა...

„ბეთქილის" ფასადის წინ კი მსუბუქად ქანაობს ჯაჭვზე ჩამოკიდული ჭედური ნამუშევარი — ემბლემა.

და დგას „ბეთქილი", როგორც ერთი რამ საოცრება, ნაძვნარს იქით ჩაკარგული მზის ათინათით აფერადებული...

**ნინო კიკილაშვილი**

# ახალ-გაზრდობა

რა როლს ასრულებს ახალგაზრდობა, კომკავშირი ზემო სვანეთის ეკონომიკური და კულტურული წინსვლის საქმეში?

ამ საკითხზე მესტიის კომკავშირის რაიკომის მდივნებთან ბორის კახიანთან და თალიკო ნაკანთან ვისაუბრეთ.

ზემო სვანეთში ბევრი ახალგაზრდაა. მათ შორის 2700 კომკავშირელია. ეს ის ძალაა, რომელიც ძირითადად უნდა მართავდეს რაიონის ეკონომიკას. მართლაც, მათი დიდი ნაწილი ნამდვილი პატრიოტია — შრომობენ და სწავლობენ, რათა მომავალი თაობების ცხოვრება კიდევ უფრო საინტერესო და ნაყოფიერი იყოს.

სვანმა კომკავშირელებმაც გულთან ახლოს მიიტანეს, საბრძოლო დოკუმენტად მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 აგვისტოს ცნობილი დადგენილება „მესტიის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ". ისინი გვერდში ამოუდგნენ რაიონის პარტიულ აქტივს იმ დიდი, გრანდიოზული ამოცანების განხორციელების საქმეში, რაც ამ დადგენილებით არის გათვალისწინებული.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 300-ზე მეტი სტუდენტი მესტიის რაიონიდან არის (206 სწავლობს დასწრებულ, ხოლო 118 დაუსწრებელ განყოფილებებზე), 100-ზე მეტი ახალგაზრდა სხვადასხვა პროფესიას ეუფლება პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში, 25 — მეცნიერია.

რაიონის ეკონომიკის მთავარი დარგი მეცხოველეობაა. აქ დასაქმებულთა 90 პროცენტი კომკავშირელია და მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მინდობილ საქმეს წარმატებით ართმევენ თავს. მოწინავე მწველავები ა. გულბანი, ე. კაკრიაშვილი, ე. გულბანი, ნ. იოსელიანი, მ. გვიდანი, ე. ფალიანი, მ. მერლანი, დ. კალიანი, ტ. კვანჭიანი, მ. გირგვლიანი, ლ. ჩხვიმიანი, თ. სუბელიანი, ლ. ცინდელიანი და სხვანი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, ნაკისრ ვალდებულებებს, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურნი არიან.

ბოლო წლებში რაიონის ახალგაზრდობაში სრულიად ახალი ტრადიციები დამკვიდრდა. თავისუფალი დროის პრობლემა, ისევე როგორც საერთოდ, ზემო სვანეთშიც განსაკუთრებული სიმწვავით იდგა. სწორედ თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის, მავნე, დრომოჭმული წეს-ჩვეულებების აღსაკვეთად ფართოდ გაიშალა ახალგაზრდული კლუბებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობა.

პირველი ასეთი კერა კომკავშირელთა ინიციატივით სოფელ მულახში აშენდა 1977 წელს. სპორტული კომპლექსი ცნობილი მთამსვლელის, ტიანშანზე დაღუპული ილია გაბლიანის სახელობისაა. სპორტულ წრეებსა და სექციებში 300-ზე მეტი მოზარდია გაერთიანებული. ისინი გულმოდგინედ ეუფლებიან სპორტის თავიანთთვის საინტერესო სახეობებს. აქ უკვე აღიზარდნენ პირველთანრიგოსნები, რესპუბლიკის და ჩვენი ქვეყნის პრიზიორები.

მულახის სპორტული კომპლექსის შემდეგ მესტიაში აშენდა ახალგაზრდული კლუბი „ბეთქილი", რომელიც მსოფლიოში ცნობილი „კლდის ვეფხვის" — მ. ხერგიანის სახელობისაა. ახალგაზრდული კლუბი სოფელ ეცერშიც აშენდა. ეს კარგი საქმე ამჟამად კვლავ გრძელდება. ლატალსა და იფარში კულტურული ცენტრების მშენებლობა მიმდინარეობს, რომლებიც გურამ თიკანაძისა და მირზა გელოვანის სახელობისა იქნება.

ახალმა მშენებლობებმა ახალ ტრადიციებს ჩაუყარა საფუძველი. შარშან ახალგაზრდობის ინიციატივით მოეწყო თიბვის დღესასწაული „ახა-ნახა". დიდ სპორტულ ზეიმად იქცა მიხეილ ხერგიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ზეიმი „ჩხუმლიანობა", რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება.

ახალგაზრდულ კლუბ „შგარიდაში" მისი გახსნის დღეს კომკავშირული ქორწილი გადაიხადეს, აღნიშნულ კლუბებში საზეიმოდ გადასცემენ კომკავშირულ ბილეთებს.

სვანმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის აღდგენითს სამუშაოებში. სულ ახლახან, თელეთში, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში დამთავრდა სვანური კომპლექსის მშენებლობა. მშენებლობის სული და გული იყვნენ: გ. რატიანი, ნ. ჩხეტიანი, ი. ხაჭვანი, ტ. ნიჟარაძე, რ. გუჯეჯიანი, დ. ფილფანი, ე კვანჭიანი, გ. წერედიანი, ნ. მურჩიანი, ა. სალლიანი და სხვები:... სვანური კოშკი კი ურყევად დგას საქართველოს მთისა და ბარის ერთიანობის უკვდავ სიმბოლოდ.

პრობლემები, რა თქმა უნდა, ბევრია. ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე მტკივნეული მაინც ახალგაზრდობის შრომითი დასაქმებაა. მესტიის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულები, რომლებიც არსად არ მიდიან, ხშირ შემთხვევაში ვერ პოულობენ შესაფერის საქმეს. აქ არ არის დიდი საწარმო, სადაც ისინი იშრომებდნენ. ახალგაზრდების ნაწილი უმიზნოდ, უსაქმოდ ატარებს დროს. უსაქმურობა კი დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მიზეზია.

ყველა ახალგაზრდის შრომაში დასაქმება სადღეისო პრობლემაა.

**იზა ჯაჭვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაერტ ჩართოლანი

# ახჩეჯანი

მოთხრობა

— ასე რამ გადარია ეს ქოფაკი?

— ცხენის ფრუტუნი გესმის?

— გავიგე! ეტყობა, დაგვიანებული სტუმარია. ჩვენიანი ცხენით არ მოვიდოდა.

— ნესტორ! — გაისმა ეზოს გალავნის გაღმიდან.

მასპინძელმა ტანთ ჩაიცვა. ეზოში გავიდა და ვიდრე კარს გააღებდა, ვინა ხარო, ჰკითხა.

— კიჯო ვარ, კარი გამიღე!

ნესტორს გაუკვირდა ცოლის ძმისწულის უდროო სტუმრობა. კარს ურდული აჰყარა, ფართოდ გააღო და სიბნელეში ხუთი კაცი დალანდა.

— შემოდით! — მოიპატიჟა დაგვიანებული სტუმრები, —

— ცხენებს ზურაბი და ბადრი მოუვლიან.

კიჯო ამ ოჯახში თავს შინაურულად გრძნობდა, მასპინძელს არ დაელოდა, ისე გაუძღვა თანმხლებთ ოთახში. მათ მხოლოდ ერთი კაცი ჩამორჩათ და ეზოს კარი გადარაზა.

— რა საგულდაგულოდ კეტავ? — გაუკვირდა ნესტორს უცნობის გულმოდგინება.

— მოტაცებული ქალი მოვიყვანეთ.

— მოტაცებული ქალი? ვისთვის მოიტაცეთ?

— კიჯოსთვის!

— მოიტაცეთ თუ ნებით წამოგყვათ?

— მოვიტაცეთ! მდევარი აგვედევნა, მაგრამ მოხერხებულად გავაცურეთ, კვალი დაკარგეს.

— შენ ვინა ხარ, რა გქვია?

— ჯანგვა, კიჯოს ამხანაგი.

— ქალი ვისია?

— თენგიზ მარცხიანის შვილია — რუსუდანი.

— თენგიზისა? — მხოლოდ ესა თქვა და სტუმარი ოთახში შეიყვანა.

მოზრდილ ოთახს ჭრაქის სუსტი შუქი მკრთალად ანათებდა. კუთხეში ატუზული ქალი მთელი ტანით თრთოდა და ცახცახებდა, ხმას არ იღებდა, მასპინძელს ვედრებით სავსე თვალებით უყურებდა.

— მართა! ადექი, ძმისწული გესტუმრა, — გასძახა მეუღლეს ღიად დატოვებული კარიდან.

— დაჯექით! მაშ ქალი მოიტაცე? ნებით რომ წამოგყოლოდა, — გამიხარდებოდა.

— აქედან ნებით წამომყვება, აბა, რა იზამს!

— არასოდეს! — ამოიკვნესა ქალმა და სკამზე ულონოდ დაეშვა.

— რაო? ქალი მოიტაცა? კიჯო, ღმერთმა გაგაბედნიეროთ, როგორ გამახარე. — აფუსფუსდა მართა და ჯერ ძმისწულს გადაეხვია, შემდეგ ლანდივით ფერმკრთალ ქალს მიუალერსა.

— მორჩი და გაათავე, ქალო! წადი, ბიჭები გააღვიძე, ნანოც ჩამოვიდეს, ასეთ ძვირფას სტუმრებს ღირსეულად დახვედრა და პატივისცემა უნდა.

მასპინძლის ნათქვამმა კიჯო გაათამამა, სახეგაბადრული წამოდგა, ამხანაგებს ამაყად გადახედა, მხრებში გაიშალა.

— რაშ, ქალი მოიტაცე? — კვლავ იკითხა მასპინძელმა. — არსენამ თუ იცის?

— მამამ? არა, არ მითქვამს.

— ამხელა საქმეს ეჭიდები, ცეცხლს ეთამაშები, მშობელს არაფერს უთანხმებ, ეს როგორ იქნება? გზაზე ხომ არსად შეჩერებულხართ?

გორები მოკლეზე გადმოვჭერით, პირდაპირ აქეთ გამოვეშურეთ.

ნესტორის ქალ-ვაჟები ნამძინარევ თვალებს იფშვნეტდნენ და უხერხულად იშმუშნებოდნენ.

— იჩქარეთ, სუფრა გაშალეთ, მოშიებული იქნებიან, — ააჩქარა ქალები ოჯახის უფროსმა.

— ბადრი, მარანში გადადი და ორნახადი არაყი გამოიტანე! — სთხოვა მამამ.

— სასმელი კი არა, სტუმარ-მასპინძლობის მადლი რომ არ მაკავებდეს, კიჯოს პანღურით გავაგდებდი კარში.

— არა გრცხვენია? ბიძაშვილს ასე რად ელაპარაკები? — უსაყვედურა დედამ.

კიჯოს ფერი ეცვალა, სახეზე სისხლი მოაწვა, წამოენთო და აიფოფრა.

— ბადრი! ვატყობ დაგავიწყდა ჩემი მკლავის ძალა?

— ის დრო მოკვდა, უმცროსს რომ მჩაგრავდი, ახლა უმწეო ქალს თუ მოერევი, თორემ მეტი შენს კაცობას არაფერი მოეთხოვება!

— არ იფიქრო, ქალი შენი იმედით მომეტაცოს. ოჯახის პატივისცემა რომ არ მაკავებდეს, ძვირად დაგისვამდი მაგ თავხედობას. წავიდეთ! რაღას უზიხართ? — უბრძანა თანმხლებთ.

ჯანგვა, ზოსიმე და დემე ზანტად წამოდგნენ, ეტყობოდათ კარში გასვლა ესიკვდილებოდათ, მაგრამ კიჯოს მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ.

— შეგიძლიათ მიბრძანდეთ, თქვენისთანა სტუმრებს მამაჩემის ოჯახი არ მასპინძლობს!

— ბადრი! ხმა ჩაიკმინდე! — მიხვდა ნესტორი, რომ მისი შვილი წონასწორობას კარგავდა. — ამის ლაპარაკს ყურს ნუ ათხოვებთ, ჯერ ახალგაზრდაა, გულისწყრომა ალაპარაკებს. გამომყევი, სასმელი მოვიტანოთ!

— მამა! იცი, ეს გოჯო ვისი ასულია? — ჰკითხა ბადრიმ, როგორც კი მშობელი დაიმარტოხელა.

— ვიცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თენგიზი რომ შენი მეგობარია, ეს ყველამ იცის. როგორ გაბედა ასეთი თავხედობა? ან ჯულაბი საცოლის წართმევას აპატიებს?

— იყურე, შვილო, სულით მახინჯი განა ამდენსა ფიქრობს? მას მეგობრობა ჩირადაც არ უღირს!

— კი, მაგრამ... შენ? შენ რას აკეთებ? მეგობარს ღალატობ? რამდენჯერ გიამბია როგორ გადაგარჩინა თენგიზმა სიკვდილს, უღელტეხილზე ზვავში რომ მოხვდი?

— მანდ, კუთხეში, ორნახადი დგას, ის წამოიღე!

— პასუხს რად არ მაძლევ?

— აი, რას გეტყვი: შენ წვეთი სასმელი არ დალიო, ფხიზლად იყავი! სტუმრებს კი საკადრისი პატივი ვცეთ.

მართამ ღუმელში ცეცხლი დაანთო, ცომი მოზილა. ნანომ სახელდახელოდ დაკლული დედლები გაპუტა და ღუმელზე დადგმულ ქვაბში ჩაუშვა.

— ზურაბ! წამომყევი, ჭერზე ჩამოკიდებული ხარის ბეჭი ჩამოხსენი. — ახლა უფროს ვაჟს გაუძლვა ნესტორი.

— დიდ პურმარილს ამზადებენ, — უჩურჩულა დემემ ზოსიმეს.

— რა სირცხვილში ჩაგვაგდო თავლაფდასხმულმა, — აღელდა დინჯი ხასიათის ზურაბი. — თენგიზი კიჯოს შეურიგდება, მაგრამ შენზე გულს არ მოიბრუნებს და მართალიც იქნება.

— მომისმინე, ზურაბ, ამათ სასმელი ასვი, ისე გააკეთე, სუფრიდან ხელით გასატანი გახდნენ, შენ კი თავი შეინახე, არ დათვრე.

— დიდი პატივია კიჯოს პატივსაცემად თამადობა.

— ასეა საჭირო!

— გასაგებია! — თავი დაუქნია და სახეზე ღიმილი მოეფინა.

მართა ციბრუტივით ტრიალებდა, კიჯოს ნაზად უყურებდა, მოტაცებული ქალის თვალებიდან დროდადრო გადმოგორებულ ცრემლებს კი ნეტარ სისუსტედ მიიჩნევდა. სუფრაზე ჯერ ცივად მოხარშული ხორცი დაახვავა, შემდეგ შებრაწული დედლები. ცხელ-ცხელი კუბდარი, ჭიშდვარი, საჭაპური და შემწვარი ხარის ბეჭიც მოაყოლა.

ეზოში დაბმული ძაღლი გაშმაგებით აყეფდა.

— მე გავალ! — კარებთან შეაჩერა უმცროსი ვაჟი ნესტორმა და იქით გაეშურა, საითაც დაბმული ძაღლი მიიწევდა. გალავანს გალმა მოუსვენარ ცხენზე მჯდარი კაცი დახვდა.

— რომელი ხარ?

— აქ არიან?

— ვერა გცნობ, ვინა ხარ?

— ჯულაბი!

— თენგიზს გადაეცი, ქალი სამშვიდობოს არისთქო!

— მაძლევ ვაჟკაცის სიტყვას?

— ეს მეგობრის სიტყვაა!

ჯულაბმა ცხენს მათრახი გადაუჭირა და სიბნელეში ალქაჯივით გაუჩინარდა.

— ვინ იყო? — იკითხა სახეალეწილმა კიჯომ. ნესტორი ჩაფიქრდა და მშვიდად უპასუხა: — ავი ძაღლია, გზაზე ამვლელ-ჩამვლელს ყეფით აცილებს.

სუფრასთან მსხდომთ სასმელი მოკიდებოდათ. რუსუდანს კი შიშის ზარი ედებოდა: ოჯახის უფროსი ერთ სანუგეშო სიტყვას არ იმეტებდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს მოტაცებულს ვერც კი ამჩნევდა.

— ქალებს ნება მივცეთ, მოისვენონ! — თქვა ნესტორმა.

— ჯერ ნეფე-დედოფალი ვადღეგრძელოთ, — ახმაურდა ჯანგვა.

— ჩვენს ოჯახში მამის სიტყვა კანონია, ამას როგორ ვერ ამჩნევთ? ნანო, წაიყვანე რუსუდანი! — არ დაელოდა ზურაბი კიჯოს თანხმობას.

— მართა, დაღლილი ხარ, შენც დაისვენე, — სთხოვა მეუღლემ.

კიჯოს მაყრები მალ-მალე ცლიდნენ კათხებს, ფიალებს, ჭიქებს, პატარა და საშუალო ყანწებს და, აჰა, დიდი ყანწის დროც დადგა.

— არა, მაინც რა მარჯვედ გავაცურეთ ის თქვენი მეგობარი? ვიდრე გონს მოვა და ჩვენს აქ ყოფნას გაიგებს, კიჯო თავის საქმეს მოათავებს. — წამოროშა ჯანგვამ.

— მოვათავებ და არც დავიგვიანებ!

— თუ ქალი არ არის თანახმა? — ფერი ეცვალა ბადრის.

— თანახმა რომ ყოფილიყო, აქ არც მოვიყვანდი.

— ამ ქალს, როგორც ვიცი, ნიშნობის დღე სხვასთან აქვს დანიშნული.

— იმაზე ადრე მე ვთხოულობდი. სამი წელია კაცებს ვუგზავნი.

— სასურველ სასიძოს სამ წელიწადს არ ატკეპნინებენ გზებს, — სიტყვა შეაწყვეტინა ბადრიმ, — ვიცი პატივმოყვარეობის ტყვე ხარ და არა სიყვარულისა. ხომ იცი, რომ ქალს სხვა უყვარს, შენ რაღად ეჩრები. არ იცი, რომ ასეთ დროს მესამე მუდამ ზედმეტია?

— იმას ხვალ გაიგებ, ვინ არის ზედმეტი! — მუქარით თავი დაიქნია კიჯომ.

— არა, მაინც რა მოხერხებულად გავაცურეთ თენგიზი! — ისევ გაიმეორა ჯანგვამ და ნათქვამით აღტაცებულმა ტაში შემოჰკრა.

ზურაბმა მთელი არშინის სიგრძის ყანწი ასწია და იმისი ტყუპის ცალი ჯანგვას შეუვსო.

— ყმაწვილი კაცის ნატვრის ხეს ერთადერთი ნაყოფი სულ კენწეროზე აბია. იმას მრავალი თვალი ადგას, უთვალავი ბაგე უღიმის, ბევრი კეთილი და ავი სული უვლის გარს. ნაყოფის ჩამოგდებას ზოგი შურდულით ცდილობს, ზოგი კეტითა და ქვითა. ამ ხეს ღამე ბადრი მთვარე ადგას მფარველად, დღე კი მზის სხივი ელვრება და ჩრდილს არ აკარებს. თუ ავგული მზის ჩასვლიდან მთვარის ამოსვლამდე დროს შეურჩევს და ნაყოფს მოიპარავს, დუშმანს ბედი დასცინებს, ია-ვარდით მოფენილი გზა ეკალ-ბარდად ექცევა; ბნელი ღამის მოციქულს თვალის ჩინი ჯოჯოხეთში წაიყვანს, მეგობარი და მოყვარე მტრად გაუხდება, სიყვარული გულის ვარამად ექცევა. სპეტაკ სიყვარულს გაუმარჯოს! — მოკლედ მოჭრა სათქმელი.

— რაო, რა სთქვით, ზურაბ? — წამით ჩაფიქრდა კიჯო. — ნატვრის ხეო, კეთილი და ბოროტიო. მზე და მთვარეო, დუშმანი და სიყვარულიო? — თვალები აემღვრა და ზურაბს გაკვირვებით მიაშტერდა.

ჯანგვამ დამძიმებული თავი ასწია, მეგობრის მიუხვედრელობა გაუკვირდა.

— ვერ გაიგე? სიყვარულის სადღეგრძელო შესვა.

— მართლაც კარგად არის ნათქვამი, — პირველად გადააბა სიტყვა სიტყვაზე ზოსიმემ, რომელიც აქამდე უსიტყვოდ სცლიდა სასმის სასმისზე.

ზურაბმა დაცლილი ყანწი დემეს გადაულოცა, ჯანგვა კიჯოს ჩაეჭიდა და ვიდრე ჯიხვის რქა ბოლომდე არ დაალევინა, ვერ მოისვენა.

წელში გადახრილ-გადაზნექილი, ენა აჩლექილ-ალუღლუღებული, მუხლებ მოთენთილ-მოკეცილი ოთხეული გვერდით ოთახში მოასვენეს.

— რუსუდანი სად არის? — ამოილუღლუღა კიჯომ, ერთი გაიბრძოლა, მაგრამ წამით ამოტივტივებული აზრი დაბინდულ გონებაში ჩაიძირა და კიჯოც ლოგინში გაიშხლართა. მალე ოთხი კაცის ფშვინვა და ხროტინი ფანჯრის მინებს აზანზარებდა.

— ზურაბ, დაიძინე! — სთხოვა მამამ.

— არაფერს დამავალებ?

— არაფერს! დაწექი, მშვიდად იძინე.

ნასუფრალ ოთახში მხოლოდ მამა და უმცროსი ვაჟი დარჩნენ.

— მთვარე ამოვიდა, დროა ცხენები შევკაზმოთ. გზა მოკლეზე გადაჭერით, ქალს გაუფრთხილდი. უკან წამოსვლისას ცხენი არ დაზოგო, ნებაზე მიუშვი, გათენებამდე შინ გელოდები. თენგიზს გადაეცი, ვაჟკაცის ქუდი თავიდან არ გადმომვარდნია, ქალი ნამუსიანია; ჩიტი ბრდღვნად არ ღირს, ქვეყანას ნუ შეჰყრის.

...მთვარის შუქით განათებულ ორღობეში მტვრის ბული ავარდა, ორი მხედარი მოსახვევში გაუჩინარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „უშბის მესაიდუმლე"



უშბის მისადგომებთან, სოფელ უშხვანარში ერთი სახლია, რომელსაც არამც და არამც გვერდს არ აუვლიან აქ მოხვედრილი მთამსვლელები. ყველა თაობის ალპინისტები იცნობენ ამ სახლს, ისინი, ვინც უშბის დამორჩილებას ცდილობენ.

ამ სახლში ეულად ცხოვრობს მაკრინე ქურდიანი. ის მაკრინე ქურდიანი, ვინც უკანასკნელი მიაცილებს ხოლმე უშბისკენ მიმავალ მთამსვლელებს და ვინც პირველი ეგებება უკან დაბრუნებულთ.

ქალბატონ მაკრინეს ამ სამიოდე წლის წინ ვესტუმრეთ. ეზოში ვაშლს კვირტები დახეთქოდა და თეთრად გადაპენტილიყო.

მასპინძელი შინ არ დაგვიხვდა. იქვე, სახლის უკან ნაკვეთში ფუსფუსებდა; 80 წელს გადაცილებულ მაკრინეს 2000 კვადრატული მეტრი სათიბის ნაკვეთი აბარია. მიწას ამუშავებს, სასუქი შეაქვს, ასუფთავებს და გეგმასაც გადაჭარბებით ასრულებსო, გვითხრეს.

სტუმრები მოვიდნენო, რომ გაიგო, უმალ მიატოვა საქმე, მწვანედ ახასხასებულ მოლზე სახელდახელოდ ტაბლა გაგვიშალა და ბევრი საინტერესო რამ გვიამბო ქალბატონმა მაკრინემ.

... 1925 წელია. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი სვანეთში სპეციალურ ექსპედიციას გზავნის ჩიყვის გამომწვევი მიზეზების გამოსაკვლევად. ექსპედიციაშია ცნობილი ექიმი, მთამსვლელი და საზოგადო მოღვაწე სოსო ასლანიშვილი, რომელიც დაასკვნის, რომ ჩიყვის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი სასმელ წყალში იოდის ნაკლებობაა. არადა, იქვეა მინერალური წყლები — სგიმი და მორელი, რომელსაც სვანები არ ეტანებიან. საჭიროა მილების გაყვანა და...

მაკრინე და მისი მეუღლე ამ საქმის პირველი პროპაგანდისტები ხდებიან.

იმდროინდელი რაიონული გაზეთი მაკრინეს შესახებ წერდა: „მან ორი თვე შეინახა ტფილისიდან ჩამოსული ექიმები, მთამსვლელები და სპეციალისტები, იგი მზად არის მთელი საცხოვრებელი გადააგოს ამ საზოგადო საქმეს".

მაკრინე ქურდიანი მთამსვლელთა დიდი მოამაგეა. სიქველისათვის ალპინისტთა შემწე და დამხმარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით არის დაჯილდოებული. აქვს საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელიც და „სსრ კავშირის ალპინისტის" სამკერდე ნიშანი და მოწმობა, თუმცა ერთ „უბრალო" მწვერვალზეც არ ასულა.

ჩემი კაცი არ მიშვებდა მწვერვალზე, ეს რა ქალის საქმეაო, — იხსენებს „მთამსვლელთა დედა". მას კიდევ „უშბის კომენდანტი", „უშბის დიასახლისი" და „უშბის მესაიდუმლე" შეარქვეს:

მაკრინე ქურდიანი ყველაზე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ცნობილ მთამსვლელებს — გურამ თიკანაძეს, ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებს იხსენებს.

ძალზე საინტერესოა ალექსანდრა ჯაფარიძის სიტყვები:

„უშბა და მაკრინე ქურდიანის სახელი განუყოფელია. ისინი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილი, ავსებენ და ალამაზებენ ერთმანეთს.

რამდენადაც პირქუში და მიუკარებელია უშბა, იმდენად სტუმართმოყვარეა უშბის დიასახლისი. იშვიათად გამოიხედავს უშბა ღრუბლებიდან, იშვიათად თუ გაიხსნის შუბლს.

იშვიათად თუ მოიცილებს უშბის დიასახლისი პირიდან ღიმილს... შუბლნათელია და გულგახსნილი.

ის პირველი ხვდება უშბაზე გამარჯვებულთ. იზიარებს მათ სიხარულს. იმათი პირველი ჭირისუფალიც იგი ყოფილა, ვინც ვეღარ დაბრუნდა უშბიდან".

ალიოშა ჯაფარიძის პირველი ჭირისუფალიც მაკრინე ქურდიანი იყო. დღეები დღეებს მისდევდა, ალიოშა ჯაფარიძე და მისი მეგობრები კი არსად არ ჩანდნენ. გასცქეროდა მაკრინე ნისლის პირბადეში გახვეულ უშბიდან მომავალ ბილიკს, მაგრამ ამაოდ. ვეღარავინ გაიგო იმათი ასავალ-დასავალი. შემდეგ გულის მყინვარზე მიაკვლიეს დაღუპული ადამიანის ნეშტს. მაკრინეც ავიდა იქ და ალიოშა ჯაფარიძე ამოიცნო. ბოლოს უკვე საკუთარ ეზოში, იქ, საიდანაც ალიოშა 12 წლის წინათ გააცილა, კიდევ ერთხელ ძმასავით დაიტირა იგი.

...მასპინძელმა ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო რამ გვიამბო...

ავთანდილ გურასაშვილი







მუზეუმის ექსპონატებიდან

# ხელმარჯვე ოსტატები

სვანური ქუდისათვის ყველანაირი მატყლი არ ვარგაო, — გვითხრეს. ზაფხულში ნაზარდ მატყლს მოიმარაგებენ, გაწმენდენ, გაჩეჩავენ, გაპენტავენ და...

ტილოს ქსოვილზე ქუდისთვის მომზადებულ მატყლს მრგვალად დააფენენ და მასზე ხის ოვალურ ჯოხს დაადებენ. შემდეგ მთლიანად გადაახვევენ, მოთელავენ, ზედმეტ ნაწილებს მოაცლიან, სპეციალურ ხის კალაპოტზე ჩამოაცმევენ...

ზომა-ზომა დაჭრილ საქუდე მასალას ძაფს შემოუჭერენ და რამდენიმე დღეს ასე დატოვებენ. მოხსნიან კალაპოტს, ნაპირებზე საკერავ მანქანას გადაატარებენ და... ქუდიც მზად არის.

ქუდების საამქროში თორმეტი ქალია. მათ ნოდარ არღულიანი ხელმძღვანელობს. პაშა იოსელიანი, ციალა ნიგურიანი, ეთერ კვიციანი, ნათელა და გუგული გულედიანები გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და ხარისხისნიშნიან პროდუქციას უშვებენ.

შარშან 14 ათასი მანეთის ნაცვლად 16 ათასი მანეთის ქუდი დაამზადეს. მასალით ცხაკაიის ხალიჩების ფაბრიკა ამარაგებს.

მექუდეები მალე ახალ საწარმოში გადავლენ. მაშინ პროდუქციაც გაიზრდება და საამქროს კოლექტივიც.

წინათ კი დაბა მესტიაში საერთოდ არ არსებობდა ადგილობრივი მრეწველობის საწარმო. რაც კომბინატს სათავეში ახალგაზრდა კომუნისტი ივერ ჭელიძე ჩაუდგა, საქმე წინ წავიდა. ენერგიული ახალგაზრდაა ივერი, საქმე იცის და, რაც მთავარია, თავდადებულიაო, — გვითხრეს სვანებმა.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში შემავალი ყველა საწარმო — სვანური ქუდებისა თუ სამკერვალო საამქროები, ხე-ტყის დამუშავებისა თუ ბუნებრივი ბლოკის (ტრავერტინების), საოჯახო და საკანცელარიო ღუმელების წარმოება, — ბოლო დროს მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

დაბის ბოლოში, შემაღლებულ ფერდობზე ახალი ნაგებობა მოჩანს. მისი კონტურები უკვე გამოკვეთილია. ეს მესტიელთა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ახალი შენობაა, რომელიც დამთავრების პროცესშია.

წარმოებას განვითარების პერსპექტივები აქვს.

სამკერვალო საამქროში მეგზურობას საამქროს უფროსი თენგიზ ჯაფარიძე გვიწევს.

— ვერცერთ მუშას ვერ გამოვარჩევ, — გვეუბნება, იგი, — ყველა ერთმანეთზე უკეთესია.

თეთრეულის სამკერვალო საამქროში 33 მუშაა, აქედან ოცი კომკავშირელია, სამი — სკკპ წევრობის კანდიდატი. აი, ისინი: კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლეილა თამლიანი, თამარ ანსიანი, მზია ჩართოლანი, ნადია ხვიბლიანი, მერი ბარლიანი ნუნუ უდესიანი, პაშა ფირცხელიანი, ნადია წიფიანი, ვერა ჭელიძე, ვენერა მარგიანი, სვეტლანა ფირცხელიანი, დარეჯან მუშკუდიანი, ალმრიცხველი მზიური ჯაფარიძე და ოსტატი ქორა მარგიანი, — გვაცნობს საამქროს უფროსი.

საგამომჭრელოში ყველაფერი ხელით კეთდება, მანქანა მხოლოდ ჭრის სხვადასხვა ფორმაშეცვლილ ქსოვილს. გამომჭრელმა საღამომდე აუცილებლად უნდა დაამთავროს გამოჭრა, რომ დილით შეუფერხებლად დაიწყოს სამუშაო დღე. თეთრეულის შესაკერავ ოთახებში, დაზგებთან, შრომისმოყვარე გოგონები სხედან. ისინი ყოველდღიურად 300—320-მდე შალითასა და 660-მდე ზეწარს, 590-მდე ბალიშისპირსა და მამაკაცის საცვლებს კერავენ, მერე ნაწარმს სპეციალურ ქაღალდებში ფუთავენ, ფასის იარლიყს აკრავენ და ყველაფერი მზად არის.

ხუთი თვის მანძილზე მკერავებს გეგმით 155 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოეშვათ, მათ კი ეს ციფრი 165 ათასამდე გაზარდეს. წლეულს 380 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებაა გათვალისწინებული. მაგრამ რა თქმა უნდა, მაღალხარისხოვანი პროდუქციისა.

წლევანდელი წელი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ხელმარჯვე ოსტატებს. ეს ახალგაზრდები მოწინავე პოზიციებს არ დასთმობენ და მეათე ხუთწლედს წარმატებით დაამთავრებენ.

ი. სტორელი



მერი გირგვლიანი და თინა გულბანი



დალი გუგურიანი და მანანა ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევაზ მარგიანი

# შხელდა

შხელდა, შხელდა, მკაცრო შხელდა,
ფიქრებს შენ ვინ გაგიმხელდა.
მე ოცნებად გადამექცა
შენი ქიმი მეპყრას ხელთა!

ვიჯექ უშბის უნაგირზე,
ირგვლივ ნისლი ფარფატებდა,
ღრუბელივით იზრდებოდა
გულში შენი ნახვის სევდა!

ვბედე, მაგრამ ვერ გავბედე,
თითქოს თვალში დამიბნელდა,
იქნებ, გახდი მოჩვენება,
მომევლინე იქნებ ელდად.

მოვდიოდი დასაპყრობად —
წერაყინი მეპყრო ხელთა,
შენი ნისლის ბაირალი —
ფრინველივით ფარფატებდა.

კლდეზე ხელი გამეკაწრა,
შენი ნისლი შემიხვევდა? —
ქარი ღრუბელს — ბამბის ფთილას
ჭრილობაზე დამიფენდა!

სილამაზედ — მთებში დგეხარ,
სხვისთვის მზე ხარ, ჩემთვის — ელდა.
მთების მკაცრო დედოფალო,
შხელდა, ჩემო მწველო შხელდა.

1950 წ.

უშგული





„გვაშაყან შემოდის ეცერში ცხენით,
ქალი კი არა, დაო, ვაშა ხარ!“

მურმან ლებანიძე

# გვაშაყან

ცხუმარში ხმა გავარდა, რაიონიდან ქალთა საბჭო ჩამოდის, გვაშაყან კვიციანიც აქ იქნებაო.

გვაშაყანის სტუმრობა, მართალი გითხრათ, ცხუმარში კი არა, მთელ ზემო სვანეთში დღის გათენებად ულირთ.

გვაშაყან კვიციანის გარდა გულს არვის გაუხსნის იოლად სვანი. ქვეყნის ტოლი ტვირთის ზიდვა შეუძლია ამ კაფანდარა ქალს.

არ გავიდა ხანი და გვაშაყან კვიციანი და ქალთა რაიონული საბჭოს წარმომადგენლები ცხუმარის ქალთა კომიტეტში საქმიანად ბაასობდნენ.

გვაშაყანმა გახსნა ცხუმარის ქალთა ყრილობა...

როცა ცხუმარის ქალთა ყრილობის ამბავს ჰყვებიან ზემო სვანეთში, იმასაც იხსენებენ, რომ ერთმა ცხუმარელმა შაოსანმა იმ დღესვე, ყრილობაზევე დაგმო ძაძების წლობით ტარების ტრადიცია და თავსაფარი მოიხადა.

ცხუმარის ქალთა ყრილობის დღის წესრიგში წარსულის მავნე ტრადიციებთან ბრძოლა იდგა.

ბევრი კარგი ტრადიცია ცოცხლობს ზემო სვანეთში. ქალთა რაიონული საბჭოს წარმომადგენლებისთვის კი დღესავით ნათელი იყო, რომ გარდასულ თაობათა ტრადიციათაგან ბევრი არ შეეფერებოდა დღევანდელობას, რადგან მათ დიდი ხანია დაკარგეს შინაარსი და მნიშვნელობა. ზოგიერთი მათგანი წინა თაობებისგან უხეიროდაც კი იყო იმპროვიზებული. დღეხანგრძლივ საწესჩვეულებო რიტუალებს ძვირფასი დრო მიჰქონდა. სვანეთში საწესჩვეულებო რიტუალების უმეტესობა ხომ ზაფხულში სრულდება, საქმეც ხომ მაშინ ეძალება ამ კუთხეს.

ამრიგად, ქალთა კომიტეტებს ადგილებზე საკმაო სამუშაო ჰქონდათ, მაგრამ ქალთა რაიონული საბჭოს აქტივი იმასაც გრძნობდა, რომ საუკუნეობით ძვალ-რბილში გამჯდარი ტრადიციები ერთი ხელის დაკვრით არ აღმოიფხვრებოდა.

— საჭირო იყო თანმიმდევრული ბრძოლა, მოთმინებითი დამოკიდებულება, დარწმუნება, პირადი მაგალითი, — გვეუბნება გვაშაყან კვიციანი, — ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

წარსულის მავნე ტრადიციებთან ბრძოლა მხოლოდ ლოკალური საკითხი გახლავთ ქალთა რაიონული საბჭოს მუშაობის პრაქტიკისათვის.

ყოველი კვირის ბოლოს საბჭოს წევრები იკრიბებიან და ოპერატიულ სამუშაო გეგმას ადგენენ, კვირის განმავლობაში შემოსულ ფოსტას გულდასმით განიხილავენ.

მრავალფეროვანია ქალთა რაიონული საბჭოს კვირის ფოსტა, რომელსაც ყოველდღიურად მოაქვს რაიონის მშრომელი ქალების გულისთქმა, ტკივილი თუ სიხარული.

ყოველი ბარათის უკან ადამიანია და ეს კარგად იციან ქალთა რაიონულ საბჭოში. გარდა იმისა, რომ შეისწავლო ესა თუ ის საკითხი, რომელსაც მშრომელი ქალი აყენებს ქალთა საბჭოს წინაშე, ისიც უნდა გაარკვიო, ვისია ეს მოთხოვნა, აქვს თუ არა მორალური უფლება მოითხოვოს, როგორია თვითონ პიროვნება ყოველდღიურობაში...

ქალთა რაიონულ საბჭოში მესტიის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომელმა ნ. გერლიანმა ასეთი შინაარსის განცხადება შეიტანა: „სამსახურიდან გამანთავისუფლეს, გთხოვთ დამეხმაროთ!“...

რისთვის, რატომ გაანთავისუფლეს მოქალაქე, ის არის მართალი თუ დირექცია? — ამ კითხვების წინაშე აღმოჩნდა ქალთა რაიონული საბჭო. ადგილზე მივიდნენ, საქმეში ჩაიხედეს... გამოირკვა, რომ დირექციამ სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა. მოქალაქე კი დახმარებას ითხოვდა. დაარწმუნეს, რომ ტყუოდა, მოქალაქემ შეიგნო დანაშაული, მაგრამ რაიონულმა საბჭომ ამით როდი მოა-

თავა საქმე! დაეხმარნენ ნ. გერლიანს, და იგი შესაფერის ადგილზე მოაწყვეს. ქალთა რაიონულმა საბჭომ მხოლოდ ამის შემდეგ ცნო თავის მისია შესრულებულად.

ქალთა საბჭოს საქაღალდეში უამრავი განცხადებაა. ერთ-ერთი მათგანის დამწერი — მოქალაქე ქ. კვიციანი ყოფილი მეუღლისაგან წილს ითხოვს.

— განცხადება სახალხო სასამართლოს გადავუგზავნეთ, მოქალაქეს წილი გამოეყო...

თოთხმეტი შვილის გამზრდელებს, კალელ თინა და გურამ ხარძიანებს მსუბუქი ავტომანქანის გამოყოფა სურთ. ქალთა რაიონული საბჭო წინადადებით შედის პარტიის მესტიის რაიკომში... თხოვნა შესრულებულია!

1978 წელს ხანძრის შედეგად ოთხი სახლი დაიწვა, ქალთა რაიონული საბჭოს წევრები უმალ გაჩნდნენ შემთხვევის ადგილზე და დახმარებისთვის შუამდგომლობა აღძრეს...

ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გვაშაყან კვიციანი გვიყვება:

— ჩვენს საბჭოს ყველა ის საკითხი აინტერესებს, რომლებიც ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობასა და ფუნქციას უკავშირდება. ამიტომ რაიონული საბჭოს და ადგილებზე ქალთა კომიტეტების წინაშე ხშირად დგას ასეთი საკითხები: ქალის შრომა და მდგომარეობა, დახმარება მრავალშვილიანი დედებისადმი, ბავშვთა სწავლების, აღზრდის და დასვენების ორგანიზაცია, დედათა და ბავშვთა სამედიცინო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურება, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაცია და სხვ...

ქალთა რაიონული საბჭოს გული მისი აქტივია — ქალები, რაიონის საზოგადოებრივი ცხოვრების უბნებზე მომუშავენი — ექიმები, პედაგოგები, მუშები, დიასახლისები... ისინი ხალისით, შემოქმედებითად მონაწილეობენ საბჭოს სისხლსავსე ცხოვრებაში, აწყობენ რეიდებს, შეხვედრებს რაიონის მოწინავე ქალებთან, მრავალშვილიან დედებთან.

საბჭოს ყოველდღიურობის ტონის მიმცემი კი გვაშაყან კვიციანია — ოთხი შვილის დედა, კარგი მეუღლე და მეოჯახე, ამ კუთხის ყველა კეთილი სტუმრის მასპინძელი და გიდი.

დალი შავრელი





# მისი ყოველი დღე

რაც უნდა იყოს, როცა ზუგდიდიდან სვანეთში მანქანით მიდიხარ და ჩანთაში მივლინების ფურცელიც გიდევს, თუ მძღოლიც სვანი აღმოჩნდა, ვერაფრით დააღწევ თავს მოძალებულ შეკითხვებს, ცნობისმოყვარეობამ რომ იცის, და მძღოლს მაინც დაელაპარაკები.

ასე იყო ამჯერადაც.

ზუგდიდიდან მხოლოდ ერთი ქალი აგვემგზავრა. იგი ჩვენდა სასიხარულოდ, ადგილობრივი გაზეთის „ახალი სვანეთის" რედაქტორის მოადგილე აღმოჩნდა — ეთერ მჭედლიანი.

არ გეკითხება მძღოლი, სვანეთში პირველად ხარ თუ მეათედო, ეთერს არ აცლის ლაპარაკს და სახეგაბრწყინებული გვიყვება ძველი და ახალი სვანეთის ამბებს, გვესაუბრება თავისი კუთხის ფერიცვალებაზე.

ციალა გულედანი მოვიკითხეთ. მძღოლს სახე გაუნათდა: „— იმჟი ლმხე ღვაჟუ სიმა ლი." — სვანურად გადაულაპარაკა ეთერს.

ეთერმა გვითარგმნა.

— აი, ამხელა რომ იყო, ცალი ხელით ჰაერში მტკაველი მოზომა მძღოლმა და განაგრძო: — იქიდან მახსოვს, გოგუცა და სამსონ გულედანების შვილებში ყველაზე გამოსარჩევი ეს გოგო იყო. მთელი დღეები თხილამურებით დასრიალებდა, ანდა ველოსიპედზე შემომჯდარი დაჯირითობდა. რა საქმე იყო, რომ მის ხელს არ გაეკეთებინა ოჯახში, მაგრამ აქაც მხოლოდ სავაჟკაცო საქმეები ემარჯვებოდა, ქამარში გაჩრილი წალდით დადიოდა ტყე-ტყე, ეზიდებოდა შეშას, ღობავდა ეზოს, მარჯვედ ატრიალებდა ცელს...

მესტიამდე ერთხელ კიდევ შეაჩერა მძღოლმა მანქანა და სიმწვანეში ჩაფლულ მთებშემოჯარულ პატარა სოფელ ლენჯერში გადაგვახედა, აი აქაურიაო ციალა გულედანი.

ბავშვობიდანვე მებრძოლი ბუნება დაჰყვა ციალას. გოგონა არ დაგიდევდა — დიდი იყო თუ პატარა, ქალი თუ კაცი. უსამართლობას არავის შეარჩენდა, თუნდ სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა.

„— დინა, კინჩ ნომა ლახ ყუჩე!" — ეტყოდა შეშინებული დედა.

ციალა კი არც კისერს მოიტეხს და საკუთარი გზაც აქვს ნაპოვნი, წავა დედაქალაქში და ბედს ეძიებს; ფეიქრობა გადაწყვიტა და სპეციალობის დასაუფლებლად აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთან არსებულ პროფტექნიკურ სასწავლებელს მიაშურა...

პროფტექნიკური სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. მერე აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ექვსი დაზგა ჩააბარეს, აქებდნენ კიდეც ქალიშვილს, მაგრამ გრძნობდა არჩევანი სწორი არ იყო, მოწოდება სხვაგან ეძახდა.

1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები. მერე დიპლომიანი ქალიშვილი პირველი მაისის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში გაამწესეს, მაგრამ ლაღი ბუნების შვილს მთები ეძახდა. ციალა 1972 წელს მესტიას დაუბრუნდა.

მაშინდელი მესტიის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა ლაურა ლოლოშვილმა ყურადღებით შეათვალიერა ვაჟურად თმაშეკრეჭილი ქალიშვილი, რომელსაც შეუპოვრობა შუბლზე ეწერა, ციალა გულედანი წუთითაც არ შორდებოდა უფროს კოლეგას გვერდიდან.

სწორედ ლაურასაგან ჩაენერგა გამომძიებლისათვის ესოდენ საჭირო ჩვევები. და აი, ციალა გულედანს საქმიან რეკომენდაციას უწევს ლაურა, რომელიც იმხანად დუშეთის რაიონში გადაიყვანეს სამუშაოდ. მის ადგილზე 1973 წელს ციალა დანიშნეს გამომძიებლად.

— თქვენი პირველი საქმე? — ვეკითხებით.

— პირველი? — იღიმება ქალიშვილი და შორს გაურბის მზერა. — პირველი აკანკალებული ხელით დაწერილი საბრალდებულო დასკვნა, პირველი უძილო ღამეები.

უძილო ღამეებს რა გამოულევს გამომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებელს და პირდაპირ გვეუბნება, მოდით, მეორე საქმით დავიწყოთო...

მესტიის რაიონში ზედიზედ იკარგება პირუტყვი. მილიციის ლეიტენანტი, გამომძიებელი ციალა გულედანი გულდასმით იკვლევს შემთხვევის ადგილებს. იდლიანის გულდახურულ ტყეში უთენდება და უღამდება. ვაჟურად ჩაცმული ქალიშვილი ყოველ ჩქამს აყურადებს... ეჭვმიტანილი მიხეილ კვანჭიანი მართლაც რომ საეჭვოდ იკარგება დროდადრო სოფლიდან.

გამოძიების კვალი სწორხაზოვნად მიდის და, აი, სასამართლოს დარბაზში საბრალდებო სკამზე ზის პირუტყვის ქურდი მიხეილ კვანჭიანი...

1976 წელს სოფელ ლანჩვალის მთავარანგელოზის ეკლესიიდან 97 ათასი მანეთის ღირებულების ოცდაერთი ხატი გაიტაცეს. იმავე წელს გატყდა მულახის მაცხოვრისა და ივანე მახარობლის ეკლესიები. 17 ხატი წაიღეს... ძიება უიმედო გზით მიდის...

1978 წლის 2 დეკემბერს ისევ მთელი სვანეთი შეძრა ლატალის ეკლესიიდან სამი ხატისა და ამდენივე ჯვრის გატაცების ამბავმა. დანაკარგი ფულადი გამოსახულებით 53 ათას მანეთს შეადგენს. და აი ციალა გულედანი იწყებს ამ დიდი საქმის ძიებას.

გამოძიება 1976 წლიდან დაიწყო. ციალა გულედანი ღამეებს ათევს. 1976-78 წლების საქმეებს ეცნობა. საქმის მასალებში მხოლოდ ერთადერთი საგულისხმო ფურცელი დევს — ქურდების სახელები. ციალა დიდხანს უტრიალებს ლანჩვალის მთავარანგელოზს, მულახის მაცხოვრისა და ივანე მახარობლის, ლატალის ეკლესიებს. არის აზრი, რომ გატეხვის ხერხები ერთი და იგივეა. ქურდები ერთი და იგივე ადამიანები ხომ არ არიან? — კითხვას უსვამს გამომძიებელი თავს და საეჭვოდ აღარ მიაჩნია.

საგამომძიებლო საქმის ის საგულისხმო ფურცელი გაახსენდა: დადეშ ქურდიანი — ერთხელ ნასამართლევი, უსაქმური, ვენგულ რატიანი — ორჯერ ნასამართლევი ქურდობაზე, ვაჟა ჯაფარიძე — ნასამართლევი... ვინ არიან ისინი, სად იმყოფებიან ამჟამად? — ფიქრობს გამომძიებელი და წინასწარი ალღო უკარნახებს დააპატიმროს ვენგულ რატიანი, მაგრამ... დამამტკიცებელი სამხილი რომ არ არსებობს? გული კი აჩქარებს ქალიშვილს, პროკურორიც უარს ამბობს სანქციაზე...

ციალა გულედანი დედაქალაქში ჩამოდის და დაჟინებით ითხოვს ვენგულ რატიანის დაპატიმრების სანქციას. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გამოცდილი ჩეკისტი სანდრო კავსაძე ყურადღებით უსმენს ახალგაზრდა გამომძიებელს... მხარს უჭერს... მაგრამ ვენგულ რატიანი გაქცეულია ქალაქ ივანოვოში. გადაწყდა ივანოვოში გამგზავრება. ივანოვოს მილიციის სამმართველო მხარში ამოუდგა კოლეგებს. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფები და, აი, მიაკვლიეს ვენგულ რატიანის ადგილსამყოფელს. სულ მალე ვენგულ რატიანი ივანოვოს მილიციის სამმართველოში აღმოჩნდა. ხედავს ვენგული, რომ აშოლტილი ახალგაზრდა ლეიტენანტის ფორმიანი ვაჟი ტრიალებს მის წინ. ნეტავ ვინ არის ეს უცნობი ქართველი, მეორე კი, ზაურ გულედანია — ფიქრობს, ის მგონი უნახავს სადღაც.

უცებ ლეიტენანტი პარიკს იხსნის. ვენგულ რატიანი თვალს არ უჯერებს: — ქალი! ციალა!, — აღმოხდა და იქვე ჩაიკეცა. ციალა გულედანმა ზიზღით წამოაყენა ქურდი და თვალებში ჩახედა. სინდისგარეცხილი ადამიანის თვალები შერჩა გამომძიებელს.

რატიანი აცხადებს, რომ მარტომ გატეხა მულახის ეკლესია. ციალას არა სჯერა ქურდისა, საჭიროა დადეშ ქურდიანის დაპატიმრებაც... ისევ გზა... სოხუმი, აპატიმრებენ დადეშ ქურდიანსაც...

მაგრამ ამით როდი დამთავრდა საქმე... ჯერ კიდევ წინ არის ათასი წინააღმდეგობა, მოწმეთა და დამნაშავეთა ყალბი ჩვენებები, მხოლოდ მოთმინებით თუ შეგიძლია იპოვო სწორი გზა.

ახლა უკვე დამთავრებულ საქმეში ძევს ერთი ფურცელი, რომელსაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავ, მას ხელს არავინ აწერს. ეს ის უცნობი ავტორია, რომელსაც ქურდები თბილისში აძალებდნენ ხატების ყიდვას. უცნობმა ხატები წაართვა გარეწრებს, მოძებნა თბილისში მყოფი მესტიელი სვანი გელა მარგველანი...

შეფუთულ ხატებში ჩადო წერილი: „გთხოვთ ეს ხატები, რომელიც ქურდებს წავართვი, დაუბრუნოთ სვანეთის ყველაზე დიდ ეკლესიას, წყევლა-კრულვა ქურდებს, წყევლა მათ, ვინც ქურდები შეიფაროს, პური შიოდეს და პური არ ეჭმეოდეს, წყალი სწყუროდეს და წყალი არ ესმეოდეს, ამიერიდან განიდევნოს ქურდების დამფარველი სვანეთიდან“.

საოცარია, ქურდებს სვანეთში ზოგიერთი გულშემატკივარი აღმოუჩნდა და მილიციის უფროსის მოადგილე ციალა გულედანი რისხვას ვერ იკავებს... ეს რომ არა, მართლსაჯულებას ვერ გაექცეოდა მესამე — ვაჟა ჯაფარიძე...

ხიფათიანი ცხოვრებით არის სავსე იურისტი ქალის ყოველი დღე. კანონი მხოლოდ ერთს მოითხოვს შენგან — სიმართლეს, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს.

და თუ ჭეშმარიტ იურისტად, ჭეშმარიტ მოქალაქედ თვლი თავს, მხოლოდ მართალი და ნათელი გზით უნდა იარო...

— ამის შეხსენება არ სჭირდება მილიციის ლეიტენანტს, ამჟამად მესტიის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილეს, პრინციპულ ქალიშვილს — ციალა გულედანს, რომელიც თავად წარმოადგენს სინდის-პატიოსნებას და სიმართლეს.

ოლია რევია

# ლამაზი ქურქი

პატარა ოთახში სპეციფიკური სუნია. ბორის ჩართოლანი რიგრიგობით მიჩვენებს მგლის, ფოცხვერის, ციყვის, მელიის, კვერნის ფუმფულაბეწვიან ტყავებს. უცბათ წარმოვიდგინე: თვალუწვდენ ფერდობებს შეკიდებულ გაუვალ ტყეებში მკერდამდე თოვლს მიარღვევენ სოზარ ნიგურიანი, ადილარ ბარლიანი, ბარნაბა ჯაფარიძე, გელა ქურდიანი, ვალიკო ჭკადუა, გერმანე გუჯეჯიანი, დავით ქობალია, რევაზ გელოვანი. მერე კი მათი ნანადირევი პატარა პუნქტში უსიცოცხლო ფიტულებად ლაგდება. რას იზამ, ადამიანს ბევრი რამ სჭირდება. მითუმეტეს, თუ საქმე კოპწია და ფაქიზი გემოვნების მქონე ლამაზი სქესის წარმომადგენლებს ეხება.

სვანეთში მოპოვებული ბეწვეული საბოლოო დამუშავებისათვის თბილისიდან ასტრახანში, ლენინგრადსა და ყაზანში იგზავნება. ვინ იცის, რას აღარ ამზადებენ მათგან — მოხდენილი ქუდით დაწყებული ფაფუკი, თბილი ქურქით დამთავრებული. მესტიელმა მონადირეებმა წელიწადში 2.500 მანეთის ბეწვეული უნდა დაამზადონ. თბილისის ტყავ-ნედლეულის ცენტრალურ ბაზას წლეულს უკვე გაეგზავნა მელიის 47, კვერნის 36, ციყვის 11 და მგლის 7 ტყავი. პუნქტში ამჟამად 50 ცალი სხვადასხვა ნადირის ტყავია.

ათი წლის წინათ მესტიის რაიონში ალტაის ციყვი შემოიყვანეს. კუდბათქუნა უცხო სტუმარი ჩინებულად შეეგუა ადგილობრივ პირობებს და სწრაფადაც გამრავლდა. იგივე ითქმის კავკასიურთან შეჯვარებულ შავ მელაზე, რომელიც ბაკურიანიდან გადმოსახლდა. განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობიან იშვიათი სილამაზის ფოცხვერის რეწვას. წლეულს მონადირეებმა ფოცხვერის მხოლოდ ერთი ტყავი ჩააბარეს.

50 წელია, რაც მესტიაში ტყავნედლეულის პუნქტი არსებობს. გეგმები ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება.

და ვინ იცის, იქნებ სწორედ აქ, ამ დალოცვილ კუთხეში მოპოვებული ბეწვეულისგან არის შეკერილი ის ლამაზი ქურქი, ზამთრის სუსხიან დღეებში ასე რომ გათბობთ და გამშვენებთ, ძვირფასო ქალებო!

ე. რთველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტელიგენციის საზრუნავი



ციური გაბლიანი

## უკან რჩეს კვალი განათლებული

ხაიშს რომ მივუახლოვდით, სანდომიანი სახის ქერა ქალი შემოგვეგება. ხაიშის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სიმა გრიგოლიადიაო — გაგვაცნეს ხაიშელი მასპინძელი. ბერძნული გვარი ცოტა არ იყოს გვეხამუშა — ბერძენი ქალი ამ შუაგულ სვანეთში საიდან მოხვდაო — გავიოცეთ. გურჩიანების რძალი ყოფილა, 32 წელია სვანეთში ცხოვრობს და მუშაობს. ხაიშელებს დაავიწყდათ კიდეც, როდის მოვიდა მათთან სიმა მასწავლებელი, კარგა ხანია თავისიანად მიიღეს, შეიყვარეს, შეისისხლხორცეს და ამ დიდი სიყვარულისთვის მასწავლებელიც უხვად სცემს სამაგიეროს. ამიტომაც გამოუცხადა სოფელმა მას დიდი ნდობა და სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩია. ხაიშელ ქალთა მოწინავე ნაწილმა სიმა მასწავლებელს მიანდო ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობა. სოფლის მოამაგე, ახალგაზრდობის აღმზრდელი და მეგობარი — ასეთია ხაიშელი სიმა გრიგოლიადი.

სიმა მასწავლებელი მესტიის რაიონში გამონაკლისი როდია. ზემო სვანეთში სვანი ინტელიგენციის საქმიანობა მხოლოდ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებით არ იფარგლება, ყოველი განათლებული კაცი დღენიადაგ უნდა ტრიალებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში. ასეთმა მისწრაფებებმა, წარმატებების დაუოკებელმა სურვილმა დააყენა ერთ დროს ჩამორჩენილი ზემო სვანეთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა მესტიელი მოწინავე ადამიანების აქტიური პოზიცია. ეს კი, უპირველესად, განათლების მუშაკებზე ითქმის, ბუნებრივიც არის, სკოლა უზრდის მშობლიურ რაიონს მომავალი ცხოვრების მშენებლებს, აქ ეყრება საძირკველი მათ ხვალინდელ დღეს. რამდენი რამ გაკეთდა, რამდენი რამ არის კიდევ გასაკეთებელი!

ამჟამად 26 დაწყებითი, 13 რვაწლიანი და 13 საშუალო სკოლაა მესტიის რაიონში. ეს რაოდენობა ჯერჯერობით საკმარისიც კია, მას კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რომ ჰქონდეს და პედაგოგებით სათანადოდ იყოს დაკომპლექტებული.

უკანასკნელ წლებში სწრაფი ტემპით განვითარდა სასკოლო მშენებლობა. სკოლის ახალი შენობები ჩაიბარეს ეცერელმა, კალელმა, ცხუმარელმა და რაიონის სხვა სოფლების მოსწავლეებმა. სკოლები შენდება ეცერში, ლატალში, უშგულსა და ცხუმარში, დიდებული უშბის ძირას, ულამაზეს შიხრაში მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა რესპუბლიკური პიონერული ბანაკის მთელი კომპლექსი, რაიონის სკოლამდელი აღზრდის საბავშვო დაწესებულებები. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია მოსაგვარებელი, მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი; რაიონის 26 დაწყებითი სკოლიდან 17 დაქირავებულ ბინაშია თავშეფარებული. ნაკრის, წვირმის, იდლიანის რვაწლიანი და ბეჩოს საშუალო სკოლები ავარიულია და კაპიტალური შეკეთება სჭირდება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რაიონში ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი და მას შესაფერის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც სჭირდება. ზემო სვანეთს განსაკუთრებით აკლია პედაგოგები როგორც სოფლებში, ისე რაიონულ ცენტრში. მესტიიდან სასწავლებლად წასული ახალგაზრდა უმეტესად შინ ბრუნდება, მაგრამ რაიონში სამუშაოდ დაბრუნებულ სპეციალისტთა ეს ნაწილი მცირეა იმასთან შედარებით, რაც მესტიის სოციალურ-ეკონომიკურ თანამიმდევრულ განვითარებას სჭირდება. კადრების ნაკლებობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა განათლების სფეროში. რაიონის სკოლები წლობით ელიან მათემატიკის, ფიზიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზკულტურის მასწავლებლებს. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც სწრაფად უნდა გადაწყდეს.

დღეს კარგად განათლებული, შემოქმედი ახალგაზრდობა ცხოვრობს მესტიაში. მათი ნათელი ცხოვრების კეთილი კვალი ყველა უბანზე შეიმჩნევა. ნიჭიერი შემოქმედის ხელი ატყვია არქიტექტორ ნუგზარ ჩხეტიანის პროექტით აგებულ სპორტულ



სიმა გრიგოლიადი

კომპლექსსა და ახალგაზრდობის ჩინებულ სახლს „ბეთქილს", ახლა მესტიელი ახალგაზრდობის საყვარელ ადგილად რომ ქცეულა. კანდიდ კვიციანის მადლი ეტყობა სვანეთის ძნელად სავალ გზებს. ინჟინერი გულადი ჯაფარიძე ელექტროქსელს ხელმძღვანელობს, ივერი ჭელიძე ადგილობრივი მრეწველობის ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაზეა პასუხისმგებელი. ჰუბერის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვასო გვიჩიანი, მესტიელი ზაირა ჯაფარიძე, ციური გაბლიანი მომავალი თაობის აღზრდას ემსა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პედიატრმა თამარ ჟორჟოლიანმა და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ ლილი ჯაფარიძემ ერთხელ კიდევ შეამოწმეს გამოჯანმრთელებული პატარა პაციენტი.

ხურებიან. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, ეს ის ხალხია, რომელმაც თავისი პატარა, მთებს შეფარებულ მიწის უსაზღვრო სიყვარული იცის და გასაკეთებელსაც ასე გულთბილად ეკიდება.

ბევრ მათგანს ადრეც ვიცნობდი, ციური გაბლიანი კი ახლა გავიცანი. იგი ინგლისურ ენას ასწავლის მესტიის პირველ საშუალო სკოლაში, მაგრამ ქალიშვილის მოღვაწეობა მხოლოდ სკოლაში როდი მთავრდება. 12 წელია ციური ახალგაზრდობის ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, იგი ბევრი კარგი წამოწყების ინიციატორია, რაიონის ლიტერატურული ახალგაზრდობის სული და გულიც ციური მასწავლებელია, პირველმა მან მისცა დასაბამი სკოლაში პოეზიის საღამოების მოწყობას, რომლის შემოქმედებითი არე შემდგომ გაფართოვდა და რაიონის ახალგაზრდობის საერთო კუთვნილებად იქცა.

ციური გაბლიანსა და მის მეგობრებს ნანული გაბრიჩიძეს, ძაძუ გუჯეჯიანს, ნელი გუჯეჯიანს, ვახო გვიჩიანს, ზაირა ჯაფარიძეს ერთი საერთო სურვილი აქვთ: მალე იხილონ ყოველმხრივ განვითარებული, კულტურული, მზარდი ზემო სვანეთი, მომავალმა თაობებმა მეტი ბრწყინვალება შეხძინონ ცადაზიდულ მთებსა და განუმეორებელ სვანურ კოშკებს, თავიანთი სანაქებო საქმეებით გაამშვენიერონ მშობლიური რაიონის ბიოგრაფია.

## როცა ასეთი სიყვარულია...

ჩემმა სვანმა მეგობარმა ქალმა თბილისიდანვე დამაკვალიანა, ზემო სვანეთის შესახებ უკვე ბევრი რამ ვიცოდი და მესტიაში ჩასულს ჩემთვის საინტერესო ადამიანების მოძებნა აღარ გამჭირვებია.

ექიმი ლილი ჯაფარიძე მოვიკითხე, მის ხსენებაზე მასპინძელს სახე გაუნათდა: — ჩვენი ლილი? ვინ არ იცნობს, უკეთილშობილესი ადამიანი, დაკვირვებული, ჭკვიანი ექიმია.

რაიონული საავადმყოფოსაკენ გავეშურეთ. ლილი მძიმე ავადმყოფს ადგა თავზე, წუთით მოირბინა, ავადმყოფს ვჭირდებიო, — მოიბოდიშა და ჩვენი შეხვედრა მეორე დღისათვის გადავდეთ.

ლილი ჯაფარიძეს, რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს, საფიქრალი ბევრი აქვს, მისი ფიქრი სამედიცინო დარგის ყველა უბანს სწვდება. საუბარს გულღიად შევყევით, კოლეგები უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით მოიხსენია, მთის სატკივარი და რაიონის სამედიცინო მომსახურების სფეროში არსებული ნაკლოვანებები დაწვრილებით გაგვაცნო.

— თავად ხედავთ, — გვიამბობს ლილი,— საავადმყოფოში 75 საწოლი არ გვყოფნის, შენობაც მოძველებულია, არ არის ტიპობრივი, სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც მნიშვნელოვნად გვიშლის ხელს მუშაობაში.

1985 წლის სამშენებლო გეგმა რაიონული საავადმყოფოს დამთავრებასაც ითვალისწინებს, მანამდე კი ისევ ეს ძველი შენობაა მისახედი. შესაბამისად, თანდათან სოფლადაც გაიშლება ახალი მშენებლობა და იქაც გვექნება კარგი საუბნო საავადმყოფოები, სამედიცინო პუნქტები, მაგრამ ჩვენ მაინც სხვა სატკივარი გვაწუხებს.

მესტიის რაიონში ექიმის 60 საშტატო ერთეულია დაშვებული. თავისთავად ცხადია, თუ რა მძიმე პირობებში უხდებათ მესტიელ ექიმებს მუშაობა. ერთი ექიმი 2-3 სოფელს ემსახურება. რაიონს ექიმი-სპეციალისტები აკლია, აქამდე რთული ოპერაციები მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მესტიის რაისაავადმყოფოში მხოლოდ ახლახან დაინიშნა ანესტეზიოლოგი. მანამდე ექიმი-ქირურგი მოწვეულ სპეციალისტს საათობით ელოდა მაშინაც კი, როცა ქირურგიული ჩარევა გადაუდებელი იყო... ახლა მესტიაში სამუშაოდ ანესტეზიოლოგი, რაიონის მკვიდრი თენგიზ ჩართოლანი დაბრუნდა, მას მოჰყვა რევმატოლოგი ნუნუ გვიჩიანი. თუ რამდენიმე წლის წინათ ექიმი-თერაპევტი ასრულებდა პედიატრის ფუნქციებსაც, ამჟამად მარტო რაიონის საავადმყოფოში სამი პედიატრი მუშაობს. ერთ-ერთ მათგანს — თამარ ჟორჟოლიანს რაიონული საავადმყოფოში შევხვდით. თამარი მხოლოდ ცხრა წელიწადია მუშაობს, მაგრამ დამოუკიდებლობამ, უამრავმა მძიმე შემთხვევამ მას დიდი გამოცდილება შესძინა. ვინ მოსთვლის, რამდენი ნორჩი სიცოცხლე იხსნა თამარის თავდადებამ.

რაიონულ საავადმყოფოში თანდათანობით იზრდება ექიმების რიცხვი, უმჯობესდება მომსახურების დონე, მაგრამ მაინც რთულია სოფლის ექიმის ცხოვრება.

მუშაობის რთულმა პირობებმა ჭუბერელი ექიმი თერაპევტი ლეილა ჩხვიმიანი მრავალმხრივ დაასტატა. მას ხშირად ქირურგიული დანისათვისაც მოუკიდია ხელი, პატარა პაციენტებიც მის იმედად დარჩენილან...

ასე მიდის დღეები, სვანეთის მომხიბლავ სოფლებში სოციალისტური შრომის გმირის, ექიმ ლუბა ნიჟარაძის, ექიმების: თამარ ლოლობერიძის, ლეილა ჩხვიმიანის, ლილი ჯაფარიძის, თამარ ჟორჟოლიანის დაუშრეტელი ენერგია, თავდადება და თავგანწირვა ადამიანთა სიცოცხლეს ხმარდება. სამაგიეროსაც უხვადაც იმკიან. და რა იოლია დაბრკოლებების დაძლევა, სადაც ასეთი სიყვარულია!

შუქურა კოტრიკაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



და აი სასურათოდ მოეწყვნენ...

# მულახში ერთი ქალია

ზაფხული ეს-ეს არის შემოუყვა ზემო სვანეთს, დიდ-პატარა სათიბებშია გაკრეფილი, ამიტომ ნიგურიანების ოჯახში ასასვლელად სალამო ხანი შევარჩიეთ.

აგურისფერი ყაყაჩოებითა და თეთრი გვირილებით მოჩითული გზა მიგვაცილებს მულახისაკენ.

ჩვენი მეგზური მესტიელი თენგო ჯაფარიძე სიამაყით გვიყვება შვილმრავალ ნიგურიანების ამბავს. და მარტო ნიგურიანებისა კი არა, ხარიძიანებისა და მარგიანებისა, გაბლიანებისა და რატიანებისა... ოთხ-ხუთშვილზე ნაკლები ჩვენში არცერთ ოჯახს არა ჰყავსო...

„კოლხოზნიკმა" ჟაბეში, ცალდა, მაჯიდი, ჩაბიანი მოიტოვა და მუჟალოს შეუყვა.

სალამოს ბინდმა გორაკებიდან წამოუარა სოფელს, აქა-იქ ნათურებიც აციმციმდა. ნიავი ოდნავ არხევს სათიბებს, გზადაგზა მხარზე ცელგადადებული, მზისგან შერუჯული მუხლმაგარი სვანები გვხვდებიან.

— ხოჩა ლადეხ უჯაარ!

ვერ დაასწრებ სვანს სალამს.

მთელი მულახი გარეთ გამოფენილა.

ორღობეში პატარა გოგო-ბიჭები თამაშობს, აივნიდან გადმომდგარი ქალის ხმა გავიგონეთ:

— იამზე!.. მალხაზ!..

ნიგურიანების უმცროსები აღმოჩნდნენ.

ჭუნირის ნაღვლიანი ხმა გამოდის ნიგურიანების სახლიდან და ნიავს ადევნებული ლურჯ სათიბებს სწვდება. უკეთეს შესახვედავს ვერ ინატრებ. ოთხმოცი წლის დაჯილი, ოჯახის ბერდედა საკარცხლულში ზის და მამაპაპურ საკრავს აკვნესებს:

„-დე-დეშ, დე-დეშ მი-რან-გუ-ლა..."

დაჯილის გულის სიმღერაა „მირანგულა"... წარსული აქ მხოლოდ ჟამისგან ჩამუქებულ კოშკებში როდი ცოცხლობს, თავად სვანია ისტორია, ზრდილი, ვაჟკაცური, ამაყი და კეთილი.

ხმაშეწყობილად მღერიან ნიგურიანები ძველებურ სვანურ სიმღერას და სმენა ნაზად ისრუტავს „მირანგულას" ტკბილ ჰანგებს.

აივანზე შეკრებილი მასპინძლები სალამოს ჩამუქებულ ბინდში ვერ გვამჩნევენ. დასრულდა „მირანგულა", მაგრამ ჩვენ ადგილიდან არ ვიძვრით.

დაჯილის ნაჯაფარი თითები ისევ ეხება ჭუნირს:

„ილიკო ლას გაბლიანი,
ტიან-შანის კოჯარს მესდე"...

ტიან-შანის მთებში დაღუპულ ილიკო გაბლიანზე მღერიან ნიგურიანები... ყველა სვანის ოჯახში ცოცხლობს გმირულად სიცოცხლეგასრულებულ თანამემამულეთა სახეები, ამიტომ უტოლდება ბეთქილს მიხეილ ხერგიანი, სუ ალტოს კედლიდან ასხლეტილი კლდის ვეფხვი... აქ თითოეული ბუჩქი თუ გზაწვრილი ბილიკი, მზისკენ ხელგაწვდილი კოშკები თუ თოვლიან-ყინულიანი მწვერვალები ერთი დაუსრულებელი სიმღერაა უკვდავებისა.

მაინც სევდიანი ლირიკა ჭარბობს ოდითგანვე სვანურ ხალხურ სიმღერებში...

ნიგურიანებიც მრავალთაგან ერთი ის ოჯახი გახლავთ, სადაც ხელუხლებლად ცოცხლობს ამ კუთხის ისტორიის ყოველი ფურცელი, რომელიც ასე ძვირფასი და ახლობელია ყველა სვანისათვის.

ჩვენ ალბათ კიდევ დიდხანს ვერ მოვიცვლიდით ფეხს...

ჭუნირის უკანასკნელი ჰანგები ზეცაში წავიდა და ნიგურიანები ერთბაშად გამოეფინენ აივანზე. ერთხმად, გულითადად გვეპატიჟებიან.

ღმერთის ტოლია სტუმარი მულახში. სტუმარს დანატრებული სვანისათვის ზაფხული ყველაზე საყვარელი დროა.

ჩვენ უკვე აივანზე ვდგავართ და ნიგურიანების სიხარულით ვხარობთ.

შელამებულზე არაფერი სჯობს სვანეთში აივანზე ჯდომას, აქა-იქ სიმწვანეში სინათლის ოქროსფერი ზოლები რომ გამოკრთის და კოშკებში ჩაბუდებულ სოფელს ზღაპრულ იერს აძლევს.

ერთი ჩვეულებრივი ქალია ჩვენი მასპინძელი — ქეთევან ნიგურიანი, რომელსაც სიკეთისა და შრომის გარდა ვერაფერს მოჰკითხავ. ქეთევანის მზერა სათითაოდ ინაცვლებს შვილებზე და ამ მზერას საოცარი სითბო, სინაზე დაჰყვება თან. ბედნიერი, სავსე სახე აქვს ქეთევანს. ჩემი სიამაყე შვილები არიანო, ამბობს, — შვილი დიდი შრომაა და ქალი ამქვეყნად ამ შრომისთვის არის მოსულიო. გაუგია, ბარში თურმე ორსამ შვილს სჯერდებიან... ერის ღალატიაო, — ამბობს სინანულით ქეთევან ნიგურიანი, — ჩვენს რაიონში ხუთასზე მეტი მრავალშვილიანი დედაა, უნდა გავმრავლდეთ, გავძლიერდეთ, ერს ჩვენი, დედების იმედი აქვსო.

უყურებ ნიგურიანების დიდ ოჯახს და სიამაყით ივსები... ბარში მცირეშვილიანობას იმდენ სარჩულს დაუდებენ, სამშვილიანი დედა გმირად მოგეჩვენება. ჰაერზე არც ქეთევან ნიგურიანს დაუზრდია შვილები. უჭირდა ბეჩოელ პატარძალსაც, მარტო ქეთევანს კი არა, მთელ მულახს უჭირდა. ახლა, როცა მულახამდე სამანქანო გზა მიდის და ორიოდე საათში შეგიძლია მესტიაში ამოხვიდე, რამდენიმე წუთში თვითმფრინავით გადასერო ცა, ახლა, რა თქმა უნდა, ყველაფერი გაცილებით იოლია... რა უბრალოდ გვითხრა ქეთევანმა, თავიდან ცოტა ჭირს, თორემ, მერე ბავშვები თვითონ ზრდიანო ერთმანეთს, ამ ზრუნვაზე შენდება შემდეგ სიყვარული და ურთიერთპატივისცემა და ყველა ის თვისება, რომლებიც გვამკობს ჩვენ, ადამიანებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაჭილი

მულახის სათიბებში





ნიგურიანები აშენებენ



ქეთევანი, გარდა იმისა, რომ ათი შვილის დედაა და ოჯახის მთავარი დიასახლისი, მულახის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის აქტიური მუშაც გახლავთ, მეუღლე ილია ნიგურიანი კი ამ სოფლის განთქმული კირითხუროა, ამასთან, კარგი მონადირეც არის.

ხარაჩოებშია ჩასმული მთელი მულახი, კოშკებზე მიშენებულ ძველ სახლებს ახალი, თანამედროვე სტილის ორსართულიანი სახლები სცვლის.

მაგრამ მულახის მშვენება მაინც ძველი კოშკებია!

ქეთევანმა აივნიდან მშენებარე სახლისკენ გაგვახედა. ზამთრისთვის იქ დაიდებს ბინას ნიგურიანების დიდი ოჯახი.

სადაც არის ბებიაც გახდება ქეთევანი... პირველი ქალიშვილი შორენა ამ გამოზაფხულზე იქვე, შკედში გაათხოვეს. მეორე თამარი მულახის რვაწლიანი სკოლის სიმღერის გუნდს ხელმძღვანელობს, ნათელა მეცხრეში გადავიდა და მესტიის მუსიკალურ ტექნიკუმში აპირებს სწავლის გაგრძელებას. ზეინარი, ნაილი და იასე შესაბამისად 8-9-10 წლისანი არიან და უფროსებთან ერთად მხარში უდგანან დედას. იამზე და მალხაზი — ჩვენი ნაცნობები — ექვსი-შვიდი წლისანი არიან, სულ უმცროსი გეგი კი სამისა.

ღრმად მოხუცებული დაჭილი ხელს ველარ ატანს რძალს, სამაგიეროდ, მულახის საბავშვო ბაგა-ბაღი ეხმარება ნიგურიანებს შვილების აღზრდაში.

ქეთევანს თაროდან ფრთხილად ჩამოაქვს წიგნი — კიტა ბუაჩიძის კომედიები. ეს წიგნი ნიგურიანების ოჯახის ძვირფასი რელიკვია გახლავთ. წიგნს ასეთი წარწერა ამშვენებს:

„ქეთევან და ილია ნიგურიანებს — 10 შვილის მშობლებს, დიდებულ ქართველთ და მისაბაძ მამულიშვილთ ჩემი უსაზღვრო ალტაცების გამოსახატავად მივართმევ ამ წიგნს, მათს ბავშვებს კი ფულად საჩუქარს — 2.000 მანეთს. პატივისცემით კიტა ბუაჩიძე“.

ოჯახის მცირე დანაზოგს ქეთევან და ილია ნიგურიანებმა ეს თანხაც მიუმატეს და ამ ცოტა ხნის წინათ ახალი სახლის საძირკველი ჩაყარეს.

ჩვენი იქ ყოფნისას პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა სოსო კარტოზიამ ამოაკითხა ნიგურიანებს, მშენებლობას ლახედა, ხომ არაფერი გიჭირთო...

სვანი სტუმარს დაულოცავად არ გაუშვებს.

მაგრამ ჩვენ ვჩქარობთ, რადგან წინ დიდი გზა გვიძევს.

საიდანღაც ხმაძლიერი „ლილეო“ მოისმის. გზა ენგურის თავზე გადის, ზემოთ კი ვარსკვლავებით გაჩახჩახებული სვანეთის ზეცა გვხურავს.

უკან რჩება ზღაპარში გადასული მშენებარე მულახი, კოშკები, სათიბები და ქეთევან ნიგურიანის თბილი, კეთილი ღიმილი...

დალი დვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კულტურის ძეგლთა საგანძური

საქართველოს მაღალმთიანი მხარე სვანეთი, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, მრავალმხრივ და წარმტაცია. დიდებულია იგი ცაში ატყორცნილი მწვერვალებით, ზურმუხტოვანი ჭალებით და კოპწია მდელო-საძოვრებით, აგრეთვე სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებითაც, რომლებიც ისევე მრავალფეროვანი, ბუმბერაზი და მშვენიერია, როგორც მისი გეოგრაფიული გარემო, როგორც იქაური ადამიანების რაინდული ბუნება.

როგორც დედა საქართველომ, სვანეთმაც არა ხანგრძლივი ქარიშხლიანი გზით და თავისი სიტყვა თქვა ერთიანი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. სვანეთი თავისი ხალხური და კლასიკური ხუროთმოძღვრებით, მონუმენტური ფერწერით, ოქრომჭედლობით, ხეზე კვეთით, ყოფითი და სულიერი კულტურით ქართული ხელოვნების ორგანული და მძლავრი შენაკადია.

თავისებურმა სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა ცხოვრებამ თავისებური ასახვა ჰპოვა მატერიალურ და სულიერ კულტურაში. სვანები, იყვნენ რა სამშობლოს მამაცი დამცველები, არა მარტო მახვილით, არამედ სულიერი კულტურის სფეროშიც ენერგიულად იბრძოდნენ უცხოს შემოჭრის წინააღმდეგ.

პოლიტიკურადაც სვანეთი საქართველოს ერთი იმ ბედნიერ მხარეთაგანია, რომელსაც არასოდეს განუცდია უცხო დამპყრობთა ბატონობა.

ძველთაგანვე ქართველი მეფეები და ეკლესიის მესვეურნი ჟამთა სიავის დროს სამეფო და საეკლესიო განძეულობას გადასარჩენად სვანეთში აგზავნიდნენ. ამიტომაც იქაურ ეკლესიებში დაგროვდა ბარიდან ამოტანილი უნიკალური ხელნაწერი წიგნები (ოთხთავები), „სახწაულმომქმედი" „ოქროსა და ვერცხლის ხატები" და ჯვრები, რომელთა ნაწილი ტიხრული მინანქრითა და ძვირფასი თვლებით იყო შემკული.

სვანეთი მხოლოდ ბარიდან ატანილი საგანძურით როდია საყურადღებო. ამ მხარეში ადგილობრივი სვანი დიდოსტატები დიდი რაინდობით ქმნიდნენ ოქრომჭედლობის, კედლის მხატვრობისა და ხეზე კვეთილობის სწორუპოვარ ნიმუშებს. დღეს მათი ნამუშევრებით დამშვენებულია, როგორც სვანეთის ეკლესიები, ისე მესტიის, ქუთაისისა და თბილისის მუზეუმები. როგორც მკვლევარი გ. სოხაშვილი წერდა: „საქართველოში არ მოიძებნება ისეთი კუთხე, რომელსაც ხელოვნების ამდენი ძეგლი გააჩნდეს. სვანეთში დღემდე 1000-მდე ჭედური ხელოვნების ძეგლია, 200-მდე კოშკი და 100-ზე მეტი ეკლესიაა შემორჩენილი". აქვეა ურიცხვი ხელნაწერი, მოჩუქურთმებული ხის კარები, სკივრი, ყოფაში კვლავ შემორჩენილი ნივთი.

განსაკუთრებით ზემო სვანეთი თავისი ოთხკუთხა ფორმის მაღალი კოშკურებით არის საინტერესო და მომხიბლავი.

კოშკები თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა, ამიტომ ძველად ყველა ოჯახი ცდილობდა მის აშენებას. კოშკის მშენებლობაში მთელი სოფელი, თემი და ხშირად ხევიც კი იღებდა მონაწილეობას.

არანაკლებ საყურადღებოა კოშკების გვერდით მიდგმული ქვითკირის ძველი საცხოვრებელი ორსართულიანი სახლები. მისი პირველი სართული ე.წ. მაჩუბი 100 კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს და სიმაღლე რამდენიმე მეტრია. მაჩუბის მნიშვნელოვანი ნაწილი მოჩუქურთმებული ხის კედლით არის გატიხრული. ხის ტიხარს უკან საქონლის სადგომია მოწყობილი. ხის ტიხარი კამარებით არის გახსნილი, საქონლის თავის გამოსაყოფად გათვალისწინებული. მაჩუბის ცენტრში ცეცხლს ანთებდნენ, მის ზემოთ ჩამოშვებულ ჯაჭვზე ქვაბს კიდებდნენ.

მკაცრი და გრძელი ზამთრის დღეებში სვანეთის დიდი ოჯახი მაჩუბის კერას შემოუჯდებოდა. უხუცესი მამაკაცისათვის საფუძვლიანი მოჩუქურთმებული ზურგიანი სკამი იყო განკუთვნილი. გაზაფხულ-ზაფხულში საცხოვრებლად განკუთვნილი იყო სვანური სახლის ზედა სართული „მაჟიბ".

„მაჩუბ-მაჟიბისაგან" კოშკში გადასასვლელად აკეთებდნენ კიბეს, რაც საშუალებას აძლევდა ოჯახს შიშიანობის შემთხვევაში თავი საიმედოდ დაეცვა.

სვანეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით არის შემორჩენილი ეკლესიები, რომლებიც შესანიშნავად არის შერწყმული გარემოცულ ბუნებასთან. სვანური მცირე ზომის ეკლესიები დარბაზული ტიპის ერთნავიან ნაგებობებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად X-XIV საუკუნეებს მიეკუთვნებიან და აგებულია მუქი ნაცრისფერი შირიმის ქვათლილებისაგან. ეკლესიების ფასადი სრულიად სადა და მარტივია. მხოლოდ თითო-ოროლა ძეგლის ფასადზე გვხვდება ცხოველთა თავების ბარელიეფები და დეკორატიული კოპები. ზოგიერთი ძეგლის აღმოსავლეთი ფასადი სწორკუთხედიდან წინ წამოწეულია სამ ან ხუთ წახნაგად.

ლენჯერი



ხვანური ეკლესიის უმრავლესობას ორი ან სამი მხრიდან მიშენებული აქვს გარსშემოსავლელები.

სვანეთის ეკლესიები ხასიათდება დახვეწილი და ლაკონური ხუროთმოძღვრული ფორმებით. ასევე საინტერესო და შთამბეჭდავია სვანური ეკლესიების შიგნითა და გარე კედლებზე შემორჩენილი შუა საუკუნეების უნიკალური ფრესკები, რომელთაც მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

სვანეთის ეკლესიების მხატვრობას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია ქართული ფერწერის ისტორიაში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად გვხვდება მხატვრობა გარე კედლებზეც, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. იგი მხოლოდ ბალკანეთის ქვეყნების გვიანი ხანის ძეგლებზე გვხვდება, სვანეთში კი უფრო ადრეული ხანის X-XIII სს.

სვანური კედლის მხატვრობისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ ზოგიერთმა მათგანმა შემოგვინახა მხატვრობის შესრულების თარიღი, შემკვეთის ვინაობა და თვით მხატვრის სახელი.

ამ მხრივ აღსანიშნავია „მეფის მხატვარი" თევდორე, რომელმაც ზემო სვანეთში მოხატა იფრარი, ლაგურკა და ნატიფარი. დიდოსტატი თევდორე დავით აღმაშენებლისა და დემეტრე 1-ის დროს მოღვაწეობდა. თევდორე მხატვრის გარდა ცნობილია ოსტატი გიორგი მიქაელ მაღლაკელი და სხვ.

სვანეთი არამარტო დღემდე შემორჩენილი ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის სწორუპოვარი ძეგლებით არის საყურადღებო, არამედ ოქრომჭედლობით, ხეზე კვეთის, წიგნის შემკობა-გადაწერითა და სხვ.

წლების განმავლობაში სვანეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლები ვერ სარგებლობდა შესაფერისი ყურადღებით, მართალია, იქ იგზავნებოდა ცნობილი მეცნიერებისაგან შემდგარი ექსპედიციები, მიმდინარეობდა მათი აგეგმვა, შესწავლა, პროპაგანდა და სხვა, მაგრამ კომპლექსური ღონისძიებანი, მათი დაცვა-შენარჩუნებისათვის შესაფერისი მასშტაბურობით ვერ ხორციელდებოდა.

1938 წელს, როცა იქ კვლევით სამუშაოებს ატარებდნენ, უშგულში 35-მდე კოშკი ითვლებოდა. 1973 წლისათვის კი მათი რაოდენობა 24-მდე შემცირდა, მხოლოდ უკანასკნელ წლებში განხორციელდა სვანეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლების მეცნიერულ-კომპლექსური დაცვის ღონისძიებები, სვანეთის უმთავრესი რეგიონები გამოცხადდა ნაკრძალად, დამუშავდა პრობლემები მათი დაცვისათვის, შეიქმნა სარესტავრაციო უბანი, რამაც ხელი შეუწყო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ამ ნამდვილი საგანძურის დაცვისა და შესაფერისად გამოყენების საქმეს.

ირაკლი ზაქარიაშვილი

# მთის ბილიკით დიდ ცხოვრებაში



— ეს იყო 1938 წელს. ზემო სვანეთში, მესტიაში ვმუშაობდი მთავარ ქირურგად და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ, — იგონებს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი ვახტანგ მაღრაძე. — თბილისიდან დამირეკეს ექიმს გიგზავნით. მაშინ სვანეთში ცხენებით, ჩალანდრით დადიოდნენ და ძნელი იყო მესტიაში ჩამოსვლა. მითუმეტეს, რომ ნოემბერი იდგა, საკმაოდ ჩამოთოვა და ციოდა. გამოცდილ ექიმს, მამაკაცს ველოდი, რომელიც გზის სიძნელეს არ შეუშინდებოდა. როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა ხელში შემრჩა სუსტი, ნორჩი ქალიშვილი, რომელიც თითქოს ახლა წამომდგარა სკოლის მერხიდან.

— რამდენიმე დღეში სოფელ ცანიდან მაცნე მოვიდა, ექიმს ითხოვდნენ, ექიმს ავადმყოფის გადასარჩენად. ვის შეუძლია გადალახოს ზაგაროს გადასასვლელი მეთქი ვიკითხე. დუმილით მიპასუხეს, სვანებმაც კი. დიდად გავკვირდი, როცა ეს პატარა ტანის მკვირცხლი ქალიშვილი წამოდგა და განაცხადა — მე წავალო. ავუხსენით ცუდი გზაა, უამრავი სიძნელე შეგხვდებაო. მაგრამ უკან არ დაუხევია...

1938 წლიდან 1957 წლამდე თამარი ძირითადად მესტიის რაიონში მუშაობდა — ჯერ საექიმო უბნის, შემდეგ რაისაავადმყოფოს გამგედ. მისი საქმე ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვაა, მაგრამ იგი თავისი პროფილით არასოდეს შემოფარგლულა. მესტიაში ყოველთვის ჭირდა ექიმები და ხშირად ის იყო თერაპევტიც, ქირურგიც, კანის ექიმიც...

თამარმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ამ ლამაზ, მაგრამ მკაცრ მხარეს, ათასწლოვანი კოშკების საუფლოს და არც არასოდეს უნანია.

გაორკეცებული ენერგიით მუშაობდა თამარი დიდი სამამულო ომის წლებში. მესტია თითქმის ფრონტისპირა სოფელი იყო: საავადმყოფოში მოჰყავდათ დაჭრილი მებრძოლები. კომუნისტი ექიმი თამარ ღოღობერიძე დღე და ღამე ფეხზე იდგა; დიდი გამოცდილება, თეორიული ცოდნა, ხალასი ნიჭი და შრომისმოყვარეობა მის რამდენიმე მეცნიერულ შრომაში აისახა. დღეს თამარ ღოღობერიძე საქართველოს სსრ პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკია და დიდი მონდომებით ილვწის.

საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმს, უმაღლესი კატეგორიის ექიმ-პედიატრს ერთი წუთით არ ავიწყდება თავისი მესტია, არ ავიწყდება თავისი პირველი ნაბიჯები ცანისა და ლენტეხის, ეცერისა და ხაიშის, იდლიანისა და ჭუბერის ბილიკებზე.

მის გამოჩ[illegible] სიხარულით ხვდებიან სვა-[illegible]ბი. და [illegible] თამარი მათ შორის, სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი.

ვ. საღლიანი,
რაიონული გაზეთის „ახალი მესტიის" რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეგობრის ხსოვნას

ქართულმა ჟურნალისტიკამ დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და მთარგმნელი ნინო ივანეს ასული მშველიძე.

სამამულო ომის მძიმე დღეებში იგი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში სამხედრო განყოფილებას ხელმძღვანელობდა

გაზეთი ყოველდღიურად ბეჭდავდა ფრონტის, ზურგის ამბებს, წერდა საბჭოთა ადამიანების გმირულ შემართებაზე და იმხანად „კომუნისტის“ ყველა მკითხველი იცნობდა ნინო მშველიძეს, როგორც ნიჭიერ კალმის ოსტატს.

ნინო თეთრად ათენებდა ღამეებს. მისთვის არ არსებობდა განსაზღვრული სამუშაო დღე და საათი. საქმე იხმობდა და ისიც ყოველთვის მზად იყო გაელო მსხვერპლი, ოღონდაც ახალი სიტყვა ეთქვა მკითხველისათვის. ყოველ დილით იღებდა საინფორმაციო ცნობებს მეომრების საბრძოლო სიმამაცის შესახებ და ეძიებდა ჩვენს თანამემამულეთა, სამშობლოსათვის თავშეწირულ გმირთა სადაურობას. განუწყვეტლივ წკრიალებდა ტელეფონის ზარი და ნინო პირველი ულოცავდა რაიონს ახალი გმირის დაბადებას, და იგი წერდა სამამულო ომის გმირებზე, ალექსანდრე წურწუმიასა და ირაკლი ციციშვილზე, ვლადიმერ ჯანჯღავასა და ჭიჭიკო ბენდელიანზე...

ფრონტელი ჯარისკაცები მას მადლიერებით სწერდნენ წერილებს „კომუნისტში“ დაბეჭდილი საინტერესო მასალებისათვის.

ფრონტის მიწაყრილთან თუ ზურგში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და დაზგებთან მდგომნი გატაცებით კითხულობდნენ ნინო მშველიძის მშვენიერ ნარკვევებს, წერილებს. იგი პრესის სადარაჯოზე იდგა, როგორც მეომარი, კალმის ჯარისკაცი და რაც არ უნდა დაძაბული სამუშაო დღეები ჰქონოდა, ყოველთვის დინჯი სიმშვიდე და ულევი ღიმილი უკრთოდა სახეზე.

ნინომ იცოდა დროის ფასი. უაღრესად შრომისმოყვარე ჟურნალისტი მხარში ღირსეულად ედგა ცხოვრების თანამგზავრს, ცნობილ სტილისტსა და მთარგმნელს ნიკოლოზ მშველიძეს და ეს ორი ამაგდარი დაუღალავად ეზიდებოდა ეროვნული თავგაზეთის წინსვლის დიდ ჭაპანს.

ხელიდან ხელში გადადიოდა გაზეთი, სადაც დაიბეჭდა ნ. მშველიძის „დედა“, ნარკვევი ბრესტში დაღუპული ქართველი დედის მარიამ ინაშვილის შესახებ. ნინო გაემგზავრა და თავისი თვალით ნახა, სადაც ცხოვრობდა მარიამი, ადგილი, სადაც ანამეს იგი. მის კალამს ეკუთვნის წიგნები მარიამ ინაშვილზე, ჭიჭიკო ბენდელიანზე, მან ციკლი შექმნა გმირების ცხოვრებაზე. თარგმნა ილია ერენბურგის ცნობილი რომანი „ქარიშხალი“.

ნინო ავტორია ბევრი საინტერესო, მაღალმხატვრული წერილისა და ნარკვევისა, რეპორტაჟისა და ინფორმაციისა. ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეს იგი წვეთ-წვეთად ეწირებოდა. ამავე დროს, ნინო დიდი გულმხურვალებით ზრდიდა ჟურნალისტთა ახალგაზრდა კადრებს. თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას დაუზარელად გადასცემდა მათ.

ეს შემართება სჭირდებოდა ხალხს, ახალგაზრდობას, გაზეთის მკითხველს.

შვიდათეულ წელს გადააბიჯა და ღვაწლმოსილი წავიდა ნინო მშველიძე ჩვენგან. წავიდა და თავის კოლეგებს დაუტოვა შემოქმედის, მკითხველთა გულისმესაიდუმლის, თავმდაბალი და უანგარო ჟურნალისტის ნათელი სახელი.

გარეკანის პირველ გვერდზე — მესტიის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე ციალა გულედანი;
მეოთხეზე — მულახის საძოვრებზე. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ბ. ბანძელაძე, ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ელენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4-VII-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12-VIII-80 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3
ტირაჟი 134.100. შეკვ. 1942. უე 07581. ფასი 30 კა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მხატვარი მოდელიერი ნ. ბაკრაძე

# პირველი ზარის მოლოდინში

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

